აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№8 (25.186) 7 მარტი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 2-7, მთიან რაიონებში - 7-12 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა.ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 767 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

გილოცავთ ქალთა კვირეულს!

რამაზ საყვარელიძე: უნდა ჩამოყალიბდეს საპარლამენტო მუშაობისთვის მომნიფებულ პოლიტიკოსთა ახალი თაობა 3

«დიდმა ბიჭებმა» ზელენსკის ვაშინგტონში «საქმე საჯაროდ გაურჩიეს» 4

აჭარის კულტურის მინისტრად ელისო ბოლქვაძე დაინიშნა

აღნიშნულ პოსტზე იგი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ წარადგინა

„მივიღეთ გადაწყვეტილება, განათლების, კულტურის, სპორტის სამინისტროდან ცალკე სამინისტროდ ჩამოყალიბებულიყო აჭარის კულტურის სამინისტრო, რომელიც დამოუკიდებლად გააგრძელებს ფუნქციონირებას. აჭარას ნამდვილად აქვს უდიდესი პოტენციალი კულტურის სფეროში. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ კიდევ უფრო ეფექტიანად მომხდარიყო ამ სფეროს გაძლიერება. ბოლო წლებში არაერთი მიღწევა გვაქვს კულტურის მიმართულებით და დარწმუნებული ვარ, ეს მომავალშიც გაგრძელდება. მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ახალი სამინისტროს ხელმძღვანელი, მინისტრი ელისო ბოლქვაძე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს. ქალბატონი ელისო ბოლო წლების განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტში. ის გახლდათ კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი, ასევე, „იუნესკოს“ მშვიდობის ელჩი. მას განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პარიზის უმაღლეს სახელოვნებო სკოლაში; გახლავთ შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალის დამფუძნებელი და დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით კულტურაში არაერთი დადებითი სიახლე გვექნება.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ მაია ხაჯიშვილს, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში კულტურის სფეროს ხელმძღვანელობდა. ქალბატონი მაია გააგრძელებს განათლების, ასევე სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი სანქციები და მეგობრობა – ცალმხრივად

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

პარლამენტი მასშტაბურ საკანონმდებლო ცვლილებებს გეგმავს. მიმდინარე კვირაში არაერთი საკითხის განხილვას დაეთმო დრო, თუმცა სანამ კანონპროექტები კანონად იქცევა, კიდევ ორი მოსმენაა დარჩენილი. პარლამენტმა მიმდინარე წლის 4 მარტის პლენარულ სხდომაზე მხარი დაუჭირა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში ცვლილებას. კანონპროექტის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა და პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) უფლება აქვს, ასრულებდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ, შემოქმედებით საქმიანობას მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის, ორგანოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე. პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა ცვლილებებს, რომელთა თანახმადაც, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობა სავალდებულო აღარ იქნება. კანონპროექტი სხდომაზე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე დავით მათიკაშვილმა წარადგინა. პარლამენტმა 84 ხმით მხარი დაუჭირა კანონპროექტს - „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“, კანონპროექტით განიმარტება უცხოური პრინციპალის აგენტისა და უცხოური ძალის ცნებები. ასევე, პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა ბრიტანულ მოდელთან დაკავშირებით „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, კანონპროექტის მიღება განაპირობა მედიამომსახურების სფეროში ხარისხიანი და ობიექტური მაუწყებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევისთვის მედიამომსახურების ბრიტანული მოდელის საქართველოს საკანონმდებლო აქტში დამკვიდრების მიზნით განსახორციელებელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა. მედიასტანდარტების დასაცავად „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში 14 ცვლილება შედის და აღნიშნული კანონპროექტით უცხოური ფულით მაუწყებლების დაფინანსებაც იკრძალება. ამ დღეებში პარლამენტმა „სამშობლოს ღალატის“ მუხლის დაბრუნებასთან დაკავშირებით „სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებას პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა. კანონპროექტის თანახმად, „სისხლის სამართლის კოდექსს“ ემატება მუხლი, რომელიც დაარეგულირებს „სამშობლოს ღალატისთვის“ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტმა დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტსაც დაუჭირა მხარი. პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით მიიღეს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონში ცვლილებები. კანონპროექტის თანახმად, კანონის სათაურში და ტექსტში ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ იცვლება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობით“. გარდა ამისა, კანონიდან ხდება იმ ნორმის ამოღება, რომელშიც მოცემულია ტერმინ „გენდერის“ განმარტება. ასევე, საკანონმდებლო ორგანომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებას პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა. ცვლილებებით შემოღებული იქნება ახალი ცნება - სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირი, რომელიც მოიცავს ცალკეული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს. საკითხი სხდომაზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე თორნიკე ჭეიშვილმა წარადგინა. ასევე, პარლამენტმა კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ კანონპროექტს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა.

4 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაიმართა გამოცემა „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელის პროცესი, რომელსაც იგი თავად დაესწრო. მოსამართლე ვიქტორ მეტრეველმა იგი კვლავ პატიმრობაში დატოვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას სხდომაზე ხმაური მოჰყვა. მზია ამაღლობელს ხელში ეჭირა ფურცელი წარწერით: „უსამართლო სასამართლო“. სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების წარმომადგენლები. პროცესზე ამაღლობელმა წერილობით განაცხადა, რომ ბრალს არ აღიარებს.

„არა და არ ვეთანხმები ბრალს. უკანონო პატიმრად მივიჩნევ თავს. საბედნიეროდ, ჩვენს სამშობლოში დიქტატურამ საბოლოოდ ფეხი ვერ მოიკიდა. ამიტომ მჯერა, მეც და სინდისის პატიმრებიც შევძლებთ ჩვენი უდანაშაულობის დამტკიცებას“, - ნათქვამია წერილში, რომელიც ამაღლობელმა სასამართლო დარბაზიდან გაავრცელა.

მიმდინარე კვირაში მმართველი პარტიის წევრებს სანქციები დაუწესეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, თუმცა, როგორც მმართველ გუნდში აღნიშნავენ, ეს მათთვის არაფერს ნიშნავს. ლიეტუვამ სანქციები დაუწესა კიდევ 74 ადამიანს, ესტონეთმა - 55-ს, ლატვიამ კი - 16-ს. ამის თაობაზე სამივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა სოციალურ ქსელ X-ზე დაწერეს.

სანქცირებულ პირთა შორის არიან პროკურორები, პოლიციელები და პარლამენტის წევრები „ქართული ოცნებიდან“, მათ შორის - სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი ვიქტორ სანიკიძე.

„ქართულ ოცნებაში“ აღნიშნავენ, რომ ბალტიისპირეთის სანქციები არასერიოზულია. პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე განმარტავს, რომ მიუხედავად სანქციებისა, საქართველო რჩება ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში.

„ჩვენ აქ მართლა გვიწევს ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ხალხი და ხელისუფლება. ეს ხელისუფლებები არის ხალხის მიერ არჩეული,

მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ ის, რომ ეს ხელისუფლებები განიცდიან პირდაპირ გავლენას გლობალური ომის პარტიისგან, ისინი არ არიან სუვერენული და ამ მდგომარეობაში არიან დღეს ეს ქვეყნები. თავისთავად, მათი ნაბიჯები არის არასერიოზული, თუმცა ჩვენ უნდა დავრჩეთ კვლავაც ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში გამომდინარე იმ განსაკუთრებული დამოკიდებულებიდან, რომელიც ჩვენ, ქართველებს გვაქვს ესტონელი, ლატვიელი და ლიეტუველი ხალხის მიმართ“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ქართული ოცნების“ სანქცირებული წევრის ლაშა ტალახაძის თქმით, ეს არის პატარა კაცის პატარა სანქცია.

„ვხედავთ, თუ როგორი უსუსურები არიან, საერთოდ, რეალობას არიან მოწყვეტილები. ჩემთვის, პირადად, არაფერს ნიშნავს, რადგან ის საქმე, რომელსაც მე და ჩემი გუნდი ვაკეთებთ, გაცილებით მეტია, ვიდრე პატარა კაცის პატარა სანქცია - ასე დავარქმევდი ამას. ხმამაღლა ვიტყვი, რომ ამით ნამდვილად ვერაფერს დაგვაკლებენ. ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი ქვეყნისთვის ბრძოლასა და წინსვლას“, - აცხადებს ტალახაძე.

რაც შეეხება ხელისუფლების ოპონენტებს, ამბობენ, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები მსგავსი დემარშებით საქართველოში დემოკრატიის განვითარებას ხელს უწყობენ.

„მორიგი სანქციები არის ის ფასი, რომელიც უნდა გადაიხადოს არალეგიტიმურმა „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების მიტაცების და ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ წასვლის გამო“, - მედიასთან საუბარში აღნიშნავს პარტია „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი კაპანაძე.

კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი თამაზ დათუნაშვილი ბალტიისპირეთის ქვეყნებს სანქციებს უწონებს.

„ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ბევრი წელია ჩვენი ძმები არიან და რომლებიც ყოველთვის უდიდეს როლს თამაშობდნენ საქართველოს სუვერენიტეტის გამყარებაში, ახლაც სწორ პოზიციაზე დგანან“, - აცხადებს დათუნაშვილი.

აჭარაში კი კულტურის სფეროში ცვლილებებია. აჭარის კულტურის მინისტრად ელისო ბოლქვაძე დაინიშნა, რომელიც აღნიშნულ პოსტზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ წარადგინა.

„მივიღეთ გადაწყვეტილება, არსებული განათლების, კულტურის, სპორტის სამინისტროდან ცალკე სამინისტროდ ჩამოყალიბებულიყო აჭარის კულტურის სამინისტრო, რომელიც დამოუკიდებლად გააგრძელებს ფუნქციონირებას. მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ახალი სამინისტროს ხელმძღვანელი, მინისტრი ქალბატონი ელისო ბოლქვაძე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს. ქალბატონი ელისო ბოლო წლების განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტში. ის გახლდათ კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი, ასევე, ის გახლავთ „იუნესკოს“ მშვიდობის ელჩი. მას განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ასევე, პარიზის უმაღლეს სახელოვნებო სკოლაში. ის გახლავთ დამფუძნებელი „შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალის“ და დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით კულტურაში არაერთი პოზიტიური, დადებითი სიახლე გვექნება აჭარაში“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ქრონიკა

აჭარის უმაღლეს საბჭოში საგაზაფხულო სესია მორიგი პლენარული სხდომით გაიხსნა. სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) ახალი წევრი აირჩიეს. კენჭისყრამდე კანონმდებლებმა სტიქიასა და ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, განცხადებები გააკეთეს და აღნიშნეს, რომ დიდთოვლობის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები დღემდე აქტიურად გრძელდება. ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილებით, დაზიანებულ სახლებს სახელმწიფო აღადგენს, ხოლო მოქალაქეებს, რომელთა სახლებიც შეკეთებას არ ექვემდებარება, ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფს. განცხადებების შემდეგ, კანონმდებლებმა კენჭი უყარეს აჭარის უმაღლეს საბჭოში უსკოს წევრის თანამდებობაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ - ჯემალ ბერიძისა და ტარიელ გოგიტიძის კანდიდატურებს. უმაღლესი საბჭოს წევრებმა 12 ხმით, ტარიელ გოგიტიძეს დაუჭირეს მხარი. 2 ხმა მიიღო მისმა კონკურენტმა.

* * *

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვნად ზრდის პარალელურად, საინვესტიციო პროცესები აჭარაში აქტიურად მიმდინარეობს. მათივე ცნობით, სამშენებლო დეველოპერულმა კომპანია „TEKTO“ ჯგუფმა რეგიონში 100 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. 400 ახალი სამუშაო ადგილი უკვე შეიქმნა და სამომავლოდ კომპანია ახალ საინვესტიციო პროექტებს გეგმავს. „საქართველოში, იანვარში, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 14.7%-ით გაიზარდა, ხოლო ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 5439 ერთეულს გაუტოლდა. იანვარში ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი შეიტანა: პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების, ტრანსპორტისა და დასაწყობების, მშენებლობის, განათლების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, დამამუშავებელი მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორებში ეკონომიკური აქტივობის ზრდამ“, - აღნიშნულია აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, მედდების უწყვეტი განათლების პლატფორმის დანერგვის თაობაზე მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. იაპონური კომპანია Digital Knowledge-ს და კომპანია Vitaars-ის წარმომადგენლებს მინისტრის მოადგილე ილია ვერძაძე და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი რუსუდან შავიშვილი შეხვდნენ. პროექტი მედდებისთვის ტრენინგ-კურსების დისტანციურ რეჟიმში მიწოდებას გულისხმობს. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს პროექტის მიმდინარეობა, წინა მოსამზადებელი ღონისძიებები და სამომავლო გეგმები. პროექტის ფარგლებში უკვე შეიქმნა ონლაინპლატფორმა, სადაც განთავსებულია სხვადასხვა საინფორმაციო მასალა თავისი ტესტებით. საქართველოში პროექტის განხორციელება შემოდგომაზე იგეგმება. იაპონური კომპანიების წარმომადგენლებმა პროექტზე მუშაობა ორი წლის წინ დაიწყეს.

* * *

ლატვიის დედაქალაქმა სპორტულ ტანვარჯიშში საერთაშორისო ტურნირს „პატარა ვეფხვის თასი 2025“ უმასპინძლა, რომელშიც აჭარიდან წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. აჭარის ნაკრების წევრებმა ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს. მრავალჭიდში პრეიუნიორთა პროგრამით შესრულებული ვარჯიშების შედეგად, ისინი ფინალურ ასპარეზობაზე გავიდნენ. დემეტრე დიასამიძემ სამ იარაღზე - ბჯენით ხტომაში, რგოლებზე და ორძელზე ვარჯიშში მესამე ადგილი დაიკავა, ასევე, მესამე ადგილი დაიკავა თავისუფალ ვარჯიშში დავით დიასამიძემ. ამ წარმატებას ვულოცავთ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს.

* * *

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, საერთაშორისო კლასის არბიტრის, ღირსებისა და ფილას ორდენის კავალერის გელა ჯანელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით. ტურნირი 11 წონით კატეგორიაში გაიმართა და მასში უმცროსი ასაკის ჭაბუკები მონაწილეობდნენ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებთან ერთად, სომხეთის სპორტსმენებიც ასპარეზობდნენ. პირველ ადგილზე გავიდნენ: იგორ კარაპეტიანი (35 კილოგრამი წონითი კატეგორია), გეგა გირკელიძე (38 კგ), გიორგი ჩხიკვაძე (41 კგ), ნიკოლოზ კილაძე (44 კგ), ვეფხვია მგელაძე (48 კგ), არაიკ ხემჩიანი (52 კგ), ნიკოლოზ კუტუბიძე (57 კგ), პაველ ნაზარიანი (62 კგ), არმან სარგისიანი (68 კგ), ვავე ჰოვეიანი (75 კგ), ნიკოლოზ ჯოგლიძე (85 კგ).

* * *

„ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი მზია ამაღლობელი ბათუმის საქალაქო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. გადაწყვეტილება მოსამართლე ვიქტორ მეტრეველმა მიიღო. გადაწყვეტილებას სხდომათა დარბაზში ხმაური მოჰყვა. მზია ამაღლობელმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ბრალს არ ეთანხმება და უკანონო პატიმრად მიიჩნევს თავს. მას ხელში ეჭირა ფურცელი წარწერით: „უსამართლო სასამართლო“. ბათუმის საქალაქო სასამართლოსთან ისმოდა შეძახილები: „რუსებო“ „მონებო“. სასამართლოსთან შეკრებილი მოქალაქეები, მოსამართლის გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ და აცხადებდნენ, რომ მზია ამაღლობელი რეჟიმის პატიმარია.

რამაზ საყვარელიძე: უნდა ჩამოყალიბდეს საპარლამენტო მუშაობისთვის მომწიფებულ პოლიტიკოსთა ახალი თაობა

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

*პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** საგარეო პოლიტიკასა და საშინაო პრობლემებზე საუბრობს. თვლის, რომ ქვეყანაში არსებული სიძულვილის მუხტი მალე ჩაქრება, დასავლეთი მოსთხოვს ქუჩაში გასულ ოპოზიციას პარლამენტში შესვლას და ამომრჩევლის მიერ მინიჭებული ნდობის მანდატის გამართლებას.*

- ბატონო რამაზ, თუ შეიძლება, 2025 წლის საგარეო პოლიტიკის სავარაუდო პერსპექტივებით დავიწყოთ საუბარი?

- რა თქმა უნდა, დღეს ეს თემა ყველას გვაღელვებს. ამერიკის საგარეო პოლიტიკა ისე შეიცვალა ტრამპის სათავეში მოსვლის შემდეგ, რომ არათუ საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო საგონებელშია ჩავარდნილი. არავინ იცის, როდის რას განაცხადებს აშშ-ის პრეზიდენტი და მისი მარჯვენა ხელი მასკი. ერთ რამეში ვარ დარწმუნებული მხოლოდ: ცხადია, ამერიკის პოლიტიკის შეცვლით შეიცვლება ევროპელების კავკასიური პოლიტიკაც, რომელთა ინტერესი სანდო სატრანზიტო გზაა. ორბანთან ტრამპის სიახლოვე სავარაუდოს ხდის, რომ მას კონსერვატიზმის დაცვა აქვს განზრახული, რაც ჩვენს დაცვასაც გულისხმობს. აქვე არ დაგვავიწყდეს, რომ უკვე წელს საქართველო კერკეტი კაკალი გახდა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის. მან გაუძლო უპრეცედენტო წნეხს მსოფლიოს უდიდესი ქვეყნებისგან... მეორე მხრივ, თუ ტრამპმა ჩინეთთან ორთაბრძოლა გააგრძელა, ჩვენ გავიჭყლიტებით, მაგრამ თუ საქართველო შეძლებს მხარეებს დაეხმაროს ბალანსის მოძებნაში, მაგალითად, ჩინური ტვირთი+ამერიკული კონტროლი, შეიძლება მომგებიან პოზიციაშიც კი აღმოვჩნდეთ. კერძოდ, დასავლეთმა ყურადღება მოგვაქცია „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ დერეფნის შექმნის შემდეგ. დერეფანი „ჩინეთი-კავკასია-ევროპა“ კიდევ უფრო გულითადს გახდის ევროპის და საქართველოს ურთიერთობას.

- ჯერჯერობით არ ჩანს მათი გულითადობა...

- ახლა ევროკავშირში ქაოსია, არ იციან, რა ელით, რადგან ტრამპმა არ დამალა საკუთარი დამოკიდებულება ამ ორგანიზაციის მიმართ. აქედან გამომდინარე, შიგ დარჩენილი ეგრეთ წოდებული დემოკრატები ასწრებენ სადღაც აღებული ვალების ჩამოწერას, მათ შორის, საქართველოს ოპოზიციურ ძალებს დაპირებული არჩევნების არცნობის მექანიზმის ჩართვას. როგორც კი შეიცვლება ევროპის ქვეყნებში მთავრობები, მაშინვე ჩადგება ჩვენი ურთიერთობა ჩვეულ რიტმში და არავინ გაგვამტყუნებს, რომ გვინდა მშვიდობა და აღმშენებლობა.

- ჩინეთის შემოსვლას გულისხმობთ?

- რატომაც არა, თუ ჩინეთმა აქ ფეხი მოიკიდა, მას დასჭირდება კონფლიქტებისგან დაცული გზა. ამ საჭიროებამ შეიძლება რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკებები მოითხოვოს და ჩვენი პრობლემების გადაჭრას შეუწყოს ხელი. რაც შეეხება ყბადაღებულ სწრაფვას რუსეთისკენ, ვერც ადრე ვხედავდი ამის დამადასტურებელ ფაქტებს და არც მომავალში ვვარაუდობ, თუ რა მოტივით შეიძლება გახდეს რუსეთი საინტერესო საქართველოსთვის.

- რაც შეეხება შიდა დაძაბულობას?..

- იმედი მაქვს, რომ ჩაცხრება სიძულვილის მუხტი ოპოზიციურ ამომრჩეველში და მათ გაახსენდებათ, რომ ოპოზიციური პარტიები აირჩიეს იმისთვის, რომ ისინი შევიდნენ პარლამენტში და სადეპუტატო უფლებებით შეიარაღებულები დაუპირისპირდნენ მმართველ პარტიას. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში პოლიტიკური დაპირისპირება პარლამენტშია გადატანილი. პოლიტიკისთვის ქუჩას იყენებენ, ძირითადად, ბანანის რესპუბლიკებში. ევროპისკენ მიმავალი ქვეყნისთვის კი ბანანის რესპუბლიკის წესებით ცხოვრება არ გამოდგება. დასავლეთიც, ზემოთ ნახსენები ტენდენციების მოხსნის შემდეგ, პარლამენტში მუშაობას მოსთხოვს ოპოზიციას, როგორც იყო 2020-ში. ამასობაში ის ახალგაზრდული ჯგუფებიც დაღვინდება, რომლებიც ახლა ქუჩაში იგებენ პოლიტიკის გემოს. მათგან უნდა ჩამოყალიბდეს საპარლამენტო მუშაობისთვის მომწიფებულ პოლიტიკოსთა ახალი თაობა.

- თუ შეიძლება, გააანალიზეთ, საიდან დავიწყეთ და როგორ მოვედით იმ პრობლემებამდე, დღესდღეობით ჩვენს საზოგადოებას რომ ანგრევს?

- ვთვლი, რომ დღევანდელი დღისთვის მნიშვნელოვანი საგარეო მოვლენები სათავეს იღებს 2003 წლიდან, როცა „ვარდების რევოლუციით“ ამერიკამ და რუსეთმა საქართველოს საკითხში დაიწყეს თანამშრომლობა, მაგრამ ახლა ეს არაა მნიშვნელოვანი. პოლიტოლოგ ჯ. შარპის რეცეპტებით შეიცვალა ხელისუფლება საქართველოში. შემდეგ ამერიკამ სააკაშვილს უწოდა „დემოკრატიის შუქურა“ და აკრძალა მისი მხარდაჭერილი „შუქურის“ კრიტიკა როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში. ესე იგი, ჩვენივე გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ ამერიკას შეუძლია ხელისუფლების შეცვლა, თუ დასჭირდა, რაზეც ასე ხშირად მსჯელობენ თავად ამერიკელი ანალიტიკოსები... საინტერესოა, რომ ინტერვიუ, სადაც ჯეფრი საქსს აქვს გამოთქმული აზრი „დიფ სთეითის“ ამგვარ ოპერაციებზე და სადაც საქართველოს დღევანდელი მდგომარეობაც არის აღწერილი, ტრამპის თანამებრძოლმა ილონ მასკმა თავის ქსელებში განათავსა, რითაც თავის მხრივ დაადასტურა, რომ ხელისუფლებათა შეცვლის პრაქტიკა ამერიკას ახასიათებს.

- რომელი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტები დაფიქსირდა იმ პერიოდში?

- ასეთი ბევრი იყო, მაგრამ ყურადღებას მივაქცევ 2020 წლის ნოემბერს, როცა თბილისს ესტუმრა მაიკლ პომპეო. წასვლისას მან საჯაროდ გაგვაფრთხილა, რომ ანაკლიაში არ შემოგვეშვა ჩინეთი - არადემოკრატიული ქვეყანაა. 2021 წლის დეკემბერში, ვითომ პომპეო არც არსებულიყო, საქართველომ ჩინეთიდან მიიღო პირველი რეგულარული სატვირთო მატარებელი. 2023 წელს, ზაფხულის მსოფლიო საუნივერსიტეტო თამაშების გახსნის ცერემონიაში მონაწილეობისთვის, საქართველოს პრემიერი ეწვია ჩინეთს და ყველასთვის მოულოდნელად... სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა. ამასთან, გახშირდა ლაპარაკი, რომ ჩინეთი ევროპაში წასაღები ტვირთების ნაწილს აზერბაიჯან-საქართველოზე გავლით გაიტანდა. ჩინეთის ასეთი შემოჭრა კავკასიაში და მოახლოება შავ ზღვასთან მიუღებელი უნდა ყოფილიყო ამერიკისთვის, რომელსაც არ ენდომებოდა ჩინეთის ეკონომიკის ხელშეწყობა.

- ... რუსეთისთვის?

- არც რუსეთისთვის, რომელსაც, ციმბირის მწარე გამოცდილებით, არ ენდომებოდა ჩინეთის მოძრაობა ჩრდილო კავკასიის ქვეშ. ამერიკა და რუსეთი ჩინეთს ვერაფერს უზამდნენ და ჩინური პროექტის ჩაშლის მარტივი გზა იქნებოდა აზერბაიჯანისა და საქართველოს არევა, ქაოსს კომერცია არ ეკარება. ჩვენ კი ჩინეთი, ალბათ, იმიტომ ავიჩემეთ და გაუხმაურებლად გავაბით მასთან კავშირები, რომ მისი პროექტი ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც მომგებიანი იყო - რუსეთი ყველას ეყოყლოჩინება... ჩინეთის გარდა. რუსეთისგან დაცვისთვის ჩინეთი, თუ მან მოინდომა, უფრო გამოგვადგება, ვიდრე მთელი აღშფოთებული მსოფლიო... ერთი წლით ადრე დაწყებულ რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, გაჟღერდა მოსაზრება, რომ საქართველოს სთავაზობდნენ მეორე ფრონტის გახსნას, მაგალითად, ალექსეი დანილოვი. რუსეთის დასუსტების მიზნიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ უკრაინას სდომებოდა მეორე ფრონტის გახსნა და არც ის, რომ უკრაინის პარტნიორ ამერიკასაც იგივე სდომებოდა. მაშინ, ზედაპირული ანალიზითაც კი, გამოგვდის, რომ სამ წელიწადში სამმილიონიანმა საქართველომ სამჯერ გაუწია წინააღმდეგობა მსოფლიოს უძლიერეს - 327-მილიონიან ქვეყანას. ასეთი დაუმორჩილებლობა ნებისმიერ სახელმწიფოს გააღიზიანებდა, მით უფრო - ამერიკას, რომელიც მორჩილებას ითხოვს ყველასგან, ძლიერი ევროპელი პარტნიორებისგანაც კი. სავარაუდოდ, ამერიკამ განიზრახა პატარა საქართველოში ურჩი ხელისუფლების მაგივრად მორჩილი გუნდის მოყვანა.

> *„თუ ჩინეთმა აქ ფეხი მოიკიდა, მას დასჭირდება კონფლიქტებისგან დაცული გზა. ამ საჭიროებამ შეიძლება რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკებები მოითხოვოს და ჩვენი პრობლემების გადაჭრას შეუწყოს ხელი. რაც შეეხება ყბადაღებულ სწრაფვას რუსეთისკენ, ვერც ადრე ვხედავდი ამის დამადასტურებელ ფაქტებს და არც მომავალში ვვარაუდობ, თუ რა მოტივით შეიძლება გახდეს რუსეთი საინტერესო საქართველოსთვის*

- რომელ პოლიტიკურ გუნდს გულისხმობდნენ?

- თუ გავიხსენებთ, რომ ამერიკის პოლიტიკის სპიკერები ამბობდნენ კიდეც, 2012 წლის შემდეგ სულ უფრო დაშორდა დასავლეთს საქართველოო, გამოდის, 2012 წლამდე საქართველო ახლოს იყო ევროპასთან. 2012 წლამდე იყო სააკაშვილის ხელისუფლება, რომელთან ურთიერთობაშიც პრობლემა არ გასჩენია ამერიკას, თუმცა გაუჩნდა საქართველოს მოსახლეობას. სავარაუდოა, რომ სააკაშვილის გუნდის დაბრუნება იყო დღის წესრიგში. აქ ერთი დეტალია დასაზუსტებელი - ამ პერიოდში აშშ-ის სათავეში იყვნენ დემოკრატები, რომლებთანაც უფრო მეტი საერთო აქვთ ნაპოვნი სააკაშვილის მიმდევრებს, ივანიშვილის მიმდევრები კი დაახლოვდნენ კონსერვატიულ ძალებთან. ამდენად, სააკაშვილის გუნდის მხარდაჭერას ამერიკის მხრიდან პარტიული საფუძველიც ჰქონდა, ამიტომ იყო ჩვენი ოპოზიცია ორიენტირებული ტრამპის ინაუგურაციის თარიღზე. თუ 2021-23 წლებში დასავლეთში მომწიფდა საქართველოში ხელისუფლების შეცვლის იდეა და თუ ამან მიაღწია ამ ხელისუფლების ყურამდე, შეიძლება, მუქარის სახითაც, მაშინ გასაგებია, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო საქართველოს ხელისუფლებამ ღია განცხადებების კეთება იმაზე, რომ დასავლეთს ჩვენი მთავრობის გადატრიალება უნდაო. სავარაუდოა, რომ ხელისუფლებას სურდა ხმამაღალი განცხადებებით ხელი შეეშალა „ვარდების რევოლუცია 2“-სთვის, რადგან რევოლუცია საფრთხეს უქმნის ბევრ რამეს - მშვიდობას, სტაბილურობას, საქართველოს საერთაშორისო ფუნქციას, ბევრი ადამიანის არა მარტო სოციალურ სტატუსს, არამედ სიცოცხლესაც.

- ყველაფერი მაინც ეგრეთ წოდებული რუსული კანონის მიღებით დაიწყო...

- ესეც ხაფანგი იყო... გავიხსენოთ მოვლენათა ქრონოლოგია: ხალხი ხელისუფლების შეცვლისთვის რომ განეწყო, დასავლეთმა გაიყოფა უვიზო რეჟიმის გაუქმების მუქარა და 100-მდე დაუსახელებელი პირის სანქცირება (მათგან მხოლოდ რამდენიმეა ცნობილი). ხელისუფლებამ ამ ცეცხლს ნავთი დაასხა „რუსული კანონის“ შემოტანით. დასავლეთმა კატეგორიულად დაგმო საქართველოში იმ კანონის მიღება, რასაც თავისთან იღებდნენ ევროპის ქვეყნები. ეს უსამართლობა იყო და საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს გაეღვიძა ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა. „რუსული კანონით“ პროვოცირებულმა ამ გრძნობამ დიდი გავლენა იქონია არჩევნებზე. საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის ნახევარზე მეტმა ხმა მისცა დასავლეთისგან შერისხულ ხელისუფლებას, რადგან შეურაცხყოფად მიიჩნია ხელისუფლის თავს მოხვევა ხალხისთვის. რაკი ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით ვერ მოხერხდა, ამოქმედდა სცენარი, რომ გაყალბდა არჩევნები, რასაც რევოლუცია უნდა მოჰყოლოდა.

- ბოლოს და ბოლოს, არჩევნები გაყალბდა თუ არა?

- პრინციპში, გაყალბების კონკრეტული ფაქტები არ გავრცელებულა და არც დარღვევების რაოდენობაა ცნობილი. უბრალოდ, დაიწყო საპროტესტო აქციები, სადაც ითხოვდნენ, რომ დანიშნულიყო ახალი არჩევნები. გარდა იმისა, რომ ამ მოთხოვნის საფუძველი არ ჩანს, ბევრი რამ მაინც დაუმუშავებელია. მაგალითად, ახლაც არაა დადგენილი, არჩევნების რა პირობები მიაჩნიათ სამართლიანად გამპროტესტებლებს და რას გეგმავენ „ოცნების“ ხელახალი გამარჯვების შემთხვევაში. მოკლედ, არავინ არაფერი დააზუსტა, თუმცა ახლაც გრძელდება პროტესტი, რომლის პოლიტიკური შინაარსი ისევ დაკონკრეტებას ითხოვს. ინტერვიუში წარსულს ბევრი ადგილი დავუთმე, რათა ის დაგვეხმაროს აწმყოს გაგებაში. საქართველოში დღესაც დიდია სიძულვილის მუხტი, რაც, ალბათ, ისევ ხელს აძლევს ვინმეს და გვეღლოდება ხაფანგი. მისგან თავის დაღწევის პირობა რეალური მიზეზების დანახვაა. ზოგჯერ დღევანდელი აქციების მიზეზად სახელდება ის, რომ 26 ოქტომბრის შედეგებს საქართველოში მოსახლეობის რაღაც ნაწილი არ დაეთანხმა და ამიტომ საპროტესტო აქციებს მართავენო. მიზეზად მოაქვთ კობახიძის განცხადებაც ევროპისკენ ინიციატივების შეჩერებაზე. ბოლომდე დამაჯერებელი არაა ეს ვერსიები. ადრეც არ ეთანხმებოდნენ არჩევნების შედეგებს, მაგალითად, 2020-ში. იყო საპროტესტო აქციები, თუმცა არ იყო ასეთი დაუნდობელი დაპირისპირება პიროტექნიკითა და მოლოტოვის კოქტეილებით - ერთი მხრიდან და მეორე მხრიდან - ცემითა და დაპატიმრებებით. სხვათა შორის, ამ დღეებში პიროტექნიკიანი დაპირისპირება პოლიციასთან და ასეულობით ადამიანის დაპატიმრება მოხდა გერმანიასა და საფრანგეთში, თუმცა არჩევნების შედეგების გაპროტესტება არ იყო მიზეზი. შეიძლება პროტესტის სცენარი იყოს საერთო და არა - პროტესტის მიზეზი. 2020 წელთან შედარებით, შეიცვალა საქართველოს პრეზიდენტის და ევროპის ქცევაც. მაშინ ისინი მხარეთა შერიგებას ცდილობდნენ, ახლა კონფლიქტს აღვივებენ. ირაკლი კობახიძის ზეპირ განცხადებას ამხელა პროტესტი არ უნდა მოსდევდეს, ის განცხადება ხომ რეალურად არაფერს ცვლიდა და ხანმოკლე პროტესტიც საკმარისი იქნებოდა სიგნალის ფუნქციით, ანუ ამ მიზეზზე უფრო ძლიერი იყო რეაქცია, ვიდრე უნდა ყოფილიყო.

- თითქოს ისევ 90-იანებში აღმოვჩნდით...

- გეთანხმებით, ბევრი საერთო აქვს დღევანდელობას 90-იანებთან და სწორედ ამიტომ არ მიმაჩნია, რომ ეს შიდა პროცესები მხოლოდ შიდაა. მაშინ რუსეთი აქეზებდა საქართველოს ერთ ნაწილს მეორესთან საჩხუბრად თბილისში, აფხაზეთსა თუ ცხინვალის რეგიონში. გარედან წაქეზებულმა ამ აგრესიამ და წაქეზებულთა დაუფიქრებლობამ მოგვიტანა სამოქალაქო ომები, სადაც, ერთი შეხედვით, საქართველოს მოქალაქეები ებრძოდნენ ერთმანეთს, მაგრამ რეალურად - რუსეთი ებრძოდა საქართველოს, რაც ღიად გამოჩნდა მხოლოდ 2008 წელს... რუსეთი რუსეთად, მაგრამ ჩვენს ბრალზეც დავფიქრდეთ. შიმშილით ან შიშით შეწუხებული ცოცხალი არსება უფრო სწრაფად და დაუფიქრებლად ხტება ხაფანგში, ამიტომაა, რომ მასზე მონადირეც მსხვერპლის წინაშე სასიამოვნო-უსიამოვნოს ალტერნატივას აყენებს და ამაშია ხაფანგის არსი. ესე იგი, ემოციურობის ფონზე უფრო მეტი შანსია ხაფანგში მოხვედრის. ამიტომ ვთვლი, რომ 90-იანებშიც და ახლაც ჩვენი ბრალი ის არის, რომ ზედმეტი ემოციების გამო ადვილად ვხვდებით ხაფანგში.

„დიდმა ბიჭებმა“ ზელენსკის ვაშინგტონში „საქმე საჯაროდ გაურჩიეს“

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

თეთრ სახლში 28 თებერვალს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპსა და უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის შორის შეხვედრა, რომელსაც მილიონობით ადამიანი ადევნებდა თვალს, საკმაოდ არაორდინარულად წარიმართა. ექსპერტთა უმრავლესობა ძალიან მარტივად აფასებს ამ ფაქტს - „დიდმა ბიჭებმა“ ზელენსკი ვაშინგტონში დაიბარეს და „საქმე საჯაროდ გაურჩიეს“. არადა, ამ შეხვედრის წინ თავად ტრამპი ამბობდა, რომ „ზელენსკის პატივს სცემს“, მასზე არ უთქვამს, რომ „დიქტატორი და კლოუნია“... მეტიც, მან მადლობა გადაუხადა თავის თანაგუნდელებს, რომლებმაც ზელენსკისთან ერთად იმუშავეს აშშ-უკრაინას შორის „მინერალების შესახებ“ შეთანხმების მომზადებაზე. ეს ყველაფერი თეთრ სახლში პრეზიდენტ ზელენსკის ჩასვლამდე იყო

იმაზე, შემდეგ რაც ვიხილეთ, უამრავი მოსაზრება გამოითქვა, მთავარი კი ისაა, რომ ზელენსკიმ უარი თქვა ტრამპის შეთავაზებაზე, უკრაინას მიეღო „მოსკოვის სცენარით მშვიდობა - კაპიტულაციის სანაცვლოდ“. არადა, ბევრმა თქვა, რომ მშვიდობა სამართლიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ უკრაინას უსაფრთხოების გარანტიებით უზრუნველყოფენ, რაზეც ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ უარი თქვეს. ფაქტია, ზელენსკიმ თეთრი სახლისგან ვერც სამართლიანი მშვიდობა მიიღო და ვერც უსაფრთხოების გარანტიები.

ამ შეხვედრიდან ყველაზე დასამახსოვრებელი გახლდათ ტრამპის მიერ რამდენჯერმე განმეორებული რეპლიკა ზელენსკისადმი - „თქვენ კოზირები არ გაქვთ“. კალიფორნიელმა სენატორმა ადამ შიფმა ისიც კი თქვა - „ეს იყო გმირისა და მშიშარას შეხვედრა“. ცხადია, კიდევ ბევრი ურთიერთსაპირისპირო შეფასება გაკეთდება აშშ-შიც, ევროპაშიც და ჩვენთანაც.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე მიიჩნევს, რომ „შეხვედრამ უმძიმესი შთაბეჭდილება დატოვა“.

- მოულოდნელი და გაუგებარი იყო შეხვედრის პირდაპირ პრესკონფერენციით დაწყება მაშინ, როდესაც ჯერ ორ ლიდერს შორის არაფერი განხილული არ იყო. ეს უჩვეულო დასაწყისი უკვე შეიცავდა მომდევნო უსიამოვნო სიურპრიზების საფრთხეს და მოლოდინს. ძალიან უმსგავსო და დაუშვებელი იყო აშკარად უხამსი შეკითხვა პრეზიდენტ ზელენსკის ჩაცმულობასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, საერთოდ, ეს სტილი ტრამპს და მის ადმინისტრაციას არჩეული აქვს - მათთვის აროგანტობა და შეურაცხყოფა დასაშვები და მისაღებია, ხოლო სხვებს განსხვავებული აზრის გამოხატვაც არ ეპატიებათ... ანუ ეს მიდგომა სიკეთეს ვერც ამ ადმინისტრაციას და ვერც შეერთებულ შტატებს მოუტანს. ცხადია, ეს მეთოდი ინტენსიურად აკარგვინებს მათ გულწრფელ მეგობრებს მსოფლიო მასშტაბით და სპობს იმ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტსა და ფაქტორს, რომელსაც ამერიკული „რბილი ძალა“ ჰქვია. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ვფიქრობ, კარგად გამოჩნდა მთავარი უთანხმოება. „მინერალების ხელშეკრულება“ მთლიანობაში ტექსტუალურად შეთანხმებული იყო ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტის გარდა, რომელიც უკრაინისთვის აშშ-ის მხრიდან მყარი უსაფრთხოების გარანტიების მიცემას გულისხმობს. ჩანს, ზელენსკიმ გადაწყვიტა ამ საკითხის უშუალოდ ტრამპთან შეხვედრის დროს მოგვარება ან, მოუგვარებლობის შემთხვევაში, დაბრკოლების მიზეზის მკაფიო დეკლარირება. რაც შეეხება გაძევებას, გამოჩნდა, რომ ტრამპმა პრესკონფერენციის შემდეგ საუბრის გაგრძელება არ ისურვა. ფაქტია, რომ საქმე გვაქვს აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის რადიკალურ ცვლილებასთან. ცხადია, ტრამპი პუტინთან ურთიერთობების დალაგებას და თანამშრომლობის დაწყებას გეგმავს, ხოლო უკრაინასთან მიმდინარე ომი ამ პროცესს ხელს უშლის. ამავე დროს, ტრამპი ამ ომის უსწრაფესად დამთავრებასთან დაკავშირებით მის მიერვე გაცემული უხვი დაპირებების მძევალია და ცდილობს, რაც შეიძლება მალე რაღაც შედეგი წარუდგინოს მსოფლიოსა და საკუთარ ხალხს, - აცხადებს ნიკოლოზ ვაშაკიძე.

აღსანიშნავია დონალდ ტრამპის შეფასება, რაც მან უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. მისი თქმით, ვოლოდიმირ ზელენსკის გადმოსახედიდან შეხვედრა წარმატებული არ გამოვიდა.

- მისი გადმოსახედიდან შეხვედრა წარმატებული არ გამოვიდა. მან მეტისმეტი მოინდომა. მე მშვიდობის მიღწევა მსურს. ჩვენ ათწლიან ომსა და თამაშებში ჩართვას არ ვაპირებთ. მე სასწრაფოდ მშვიდობის მიღწევა მსურს, პრეზიდენტ პუტინს კი ომის დასრულება... ეს (ზელენსკი) არის ადამიანი, რომელიც ბრძოლის გაგრძელებას აპირებს. ჩვენ ამას არ გავაკეთებთ. მოლაპარაკებების გასაგრძელებლად უკრაინის პრეზიდენტმა უნდა განაცხადოს - „მშვიდობის დამყარება მსურს“. არ სჭირდება აქ დგომა და თქმა: „პუტინი ეს, პუტინი ის, - აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

კითხვას, განიხილავს თუ არა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების შეწყვეტას, დონალდ ტრამპმა უპასუხა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რას განიხილავს: „არ აქვს მნიშვნელობა, რას განვიხილავ. თქვენც ის ნახეთ, რაც დღეს მე ვნახე. ეს არ იყო ადამიანი, რომელსაც მშვიდობის დამყარება სურდა და მხოლოდ ის მაინტერესებს, სურს თუ არა მას სისხლისღვრის დასრულება“.

„დონალდ ტრამპის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის „დიფ სთეითის“ დამარცხება, რაშიც ჩვენ, რა თქმა უნდა, წარმატებას ვუსურვებთ“, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

- როდესაც ვსაუბრობდით „დიფ სთეითზე“, „გლობალური ომის პარტიაზე“, არავის სჯეროდა. ვიღაცები გამოდიოდნენ, რაღაცებს ხუმრობდნენ ამასთან დაკავშირებით და მაქსიმალურად ცდილობდნენ, გაენეიტრალებინათ ჩვენ მიერ გაკეთებული განცხადებები, თუმცა ძალიან მალე კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ „დიფ სთეითი“ არსებობს. არსებობს „გლობალური ომის პარტია“ და დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ებრძვის მას. როდესაც „დიფ სთეითი“ დამარცხდება, ამას საკუთარ ქვეყანაზე ვიგრძნობთ, კერძოდ, აშშ-თან ურთიერთობები დალაგდება და არ იქნება ის სიცრუის კამპანია, რასაც წინა ადმინისტრაციის პირობებში ვხვდებოდით. ყოველი მათი განცხადება გაჯერებული იყო ტყუილით და ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ქვეყანა როგორმე ჩაეთრიათ ომში და გახსნილიყო მეორე ფრონტი, - განაცხადა კახა კალაძემ. მან „ფარას“ ამერიკულ კანონზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „რაც წლების განმავლობაში ხდებოდა, მათ შორის, რევოლუციის მცდელობები, უცხოური ფულით იყო დაფინანსებული და ამ ყველაფრის გამჭვირვალობა არის მნიშვნელოვანი. ზუსტად „ფარას“ ანალოგიური კანონი გადმოგვაქვს, რომ ყველაფერი იყოს კონტროლირებადი“.

ზეპირი შეფასებების გარდა, ტრამპის და ზელენსკის შეხვედრას მოჰყვა რეალური ქმედებებიც. აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ახლად დანიშნულმა დირექტორმა კაშ პატელმა აშშ-ის კონგრესს მოუწოდა, გამოიძიოს, როგორ გამოიყენეს უკრაინაში გაგზავნილი ფინანსური დახმარება. „ვთხოვე კონგრესს, გამოიძიოს, სად წავიდა ეს ფული. ამერიკელი ხალხი იმსახურებს ამ პასუხს, რადგან ეს არის ჩვენი გადასახადის გადამხდელების დოლარები“, - აღნიშნა პატელმა. მან, ასევე, გააკრიტიკა დახმარების ის რაოდენობა, რომელიც შეერთებულმა შტატებმა უკრაინაში გაგზავნა. „საქმე არ არის აშშ-ის მიერ მილიარდი დოლარის გაგზავნაზე, არამედ იმაზე, რომ ერთ ქვეყანაში გაგზავნილი თანხა მილიარდზე ასჯერ მეტია“, - თქვა მან და დასძინა, რომ თუ ზელენსკი აპირებს, კონგრესს მეტი ფული სთხოვოს, ის მზად უნდა იყოს, უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს იმ განცხადებებთან მიმართებაში, რომელმაც, შეიძლება, აშშ რუსეთთან ომამდე მიიყვანოს. პატელმა პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი პოლონეთში სარაკეტო ინციდენტთან დაკავშირებით სიცრუის გავრცელებაშიც დაადანაშაულა: „ზელენსკი მსოფლიო სცენაზე გამოვიდა და თქვა: „რუსეთმა რაკეტა გაუშვა პოლონეთში“, რაც, ფაქტობრივად, ომის აქტი იქნებოდა. აღმოჩნდა, რომ რაკეტა არა რუსეთმა გაუშვა, არამედ უკრაინიდან მოვიდა“.

მთელ ამ სიტუაციაში ევროპაც ცდილობს პოზიციის დაფიქსირებას. თუმცა საეჭვოა, რომ ამით საკუთარი კომფორტი დაზარალოს. როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო უკრაინასა და რუსეთს ნაწილობრივ, ერთთვიან ზავს სთავაზობენ, რომელიც გავრცელდება შეტევებზე „ჰაერში, ზღვასა და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე“. დროებითი ზავით გამოჩნდება, იმოქმედებს თუ არა პუტინი კეთილსინდისიერად და იქნება თუ არა მზად, სერიოზულად დაიწყოს მოლაპარაკებები გრძელვადიან სამშვიდობო შეთანხმებაზე.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი აცხადებს, რომ ვერასდროს შეეგუებიან დამნაშავის მსხვერპლად წარმოჩენას. მისივე თქმით, აგრესორი რუსეთია, რომელიც უმიზეზოდ დაესხა თავს უკრაინას და სასტიკი დანაშაულები ჩაიდინა, რუსეთის მსხვერპლად წარმოჩენა კი წინააღმდეგობაში მოდის მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან. გერმანიის პირველმა დიპლომატმა უკრაინის დახმარების გაგრძელების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ შესაბამისი ინიციატივით ბუნდესტაგს უკვე მიმართა.

ზელენსკის მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებისკენ მოუწოდებს პოლონეთის პრეზიდენტიც. ანჯეი დუდას თქმით, სიტუაციიდან გამომდინარე, უკრაინის პრეზიდენტი შეერთებულ შტატებთან დიალოგს უნდა დაუბრუნდეს და მშვიდად აწარმოოს მოლაპარაკებები იმ გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც უკრაინის უსაფრთხოებისთვის არის საჭირო.

„ზელენსკის მშვიდობა არ სურს, რაც ტრამპთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ დაადასტურა“, - ასე აფასებს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი თეთრ სახლში მომხდარ ინციდენტს. ვიქტორ ორბანის თქმით, ტრამპს კონფლიქტის დარეგულირება უნდა, რაზეც ზელენსკი უარს ამბობს მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა, პრაქტიკულად, ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.

სანამ შეფასებები კეთდება, ზელენსკი დროს არ კარგავს. 2 მარტს იგი ლონდონში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა. კირ სტარმერმა ზელენსკი დაუნინგ სტრიტზე მიიღო. გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მეთაურმა უკრაინას სოლიდარობა გამოუცხადა და ხანგრძლივი მხარდაჭერა აღუთქვა. შეხვედრის შემდეგ ხელი მოეწერა შეთანხმებას უკრაინისთვის 2,6 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ოდენობით კრედიტის გამოყოფის შესახებ, რაც უკრაინის თავდაცვით საჭიროებებს უნდა მოხმარდეს. ზელენსკი შეხვდა მეფე ჩარლზსაც. ის, ასევე, დაესწრო ევროპელ ლიდერთა სამიტს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ უკრაინის გმირი პრეზიდენტის მითი თვალსა და ხელს შუა ქრება. ბევრი, აქამდე რომ ერიდებოდა განსხვავებული აზრის დაფიქსირებას, ახლა ამბობს სათქმელს. ისტორია განსაზღვრავს, ვინ იყო მართალი და რამდენად წარმოადგენდა აუცილებლობას ნატოს ჯარების ყოფნა რუსეთ-უკრაინის საზღვართან, რის გამოც აოხრდა ქვეყანა და დაიღუპა უამრავი ადამიანი...

ფაქტია, რომ უკრაინის გმირი პრეზიდენტის მითი თვალსა და ხელს შუა ქრება. ბევრი, აქამდე რომ ერიდებოდა განსხვავებული აზრის დაფიქსირებას, ახლა ამბობს სათქმელს. ისტორია განსაზღვრავს, ვინ იყო მართალი და რამდენად წარმოადგენდა აუცილებლობას ნატოს ჯარების ყოფნა რუსეთ-უკრაინის საზღვართან, რის გამოც აოხრდა ქვეყანა და დაიღუპა უამრავი ადამიანი...

უკრაინის პრეზიდენტის განცხადება

უკრაინის პრეზიდენტმა თავის ტრადიციულ, ყოველდღიურ ვიდეომიმართვაში უკრაინასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის განახლებაზე ისაუბრა

„დღეს ჩვენმა გუნდებმა, უკრაინამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დაიწყეს შეხვედრაზე მუშაობა. ანდრეი ერმაკმა და მაიკლ უოლცმა ისაუბრეს. არის პოზიტიური მოძრაობა. იმედი გვაქვს, მომავალ კვირას პირველი შედეგები გვექნება. ასევე, უნდა განვაახლოთ მოძრაობა ევროპული მიმართულებით, რაც ეხება ჩვენს ევროინტეგრაციას... ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერის იმედი გვაქვს“, - განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

რა არის ტრამპის მთავარი გამოწვევა?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ამ ეტაპზე მსოფლიოს ყურადღებას რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით აშშ-რუსეთის მოლაპარაკებები იპყრობს. ომი სამი წელია მიმდინარეობს და უკვე გარკვეული დასკვნების გაკეთება შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა უკრაინის ტერიტორიის 20 პროცენტი მიითვისა, ამ ქვეყანამ (ცხადია, დასავლეთის მხარდაჭერით) შეძლო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება

როგორც ცნობილია, საუდის არაბეთში შეხვედრები იმართება რუსეთსა და ამერიკას შორის. რა ინტერესები იკვეთება და როგორ აღიქვამენ უკრაინაში შექმნილ ვითარებას გეოპოლიტიკური მოთამაშეები? ვინ არის აშშ-ის უმთავრესი მტერი? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ამერიკისმცოდნე ***გიორგი ლაბაძე.***

- მიუნხენის კონფერენციაზე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის გამოსვლას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. რეალურად, ჯეი დი ვენსის გზავნილებში რა იკითხებოდა და რამდენად ადეკვატური იყო ევროკავშირის პოზიცია ამ მიმართებით?

- ვენსის სიტყვა მიუნხენში ნამდვილად ისტორიული იყო. ეს გახლდათ Paradign Shift, ანუ პარადიგმის სრული ცვლილება აშშ-სა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში, თუმცა ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ ეს გამოსვლა ცალსახად უარყოფითად უნდა შევაფასოთ. ვიტყოდი - უფრო პირიქით. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ვენსის პრეტენზიები ევროპის კავშირთან, ძირითადად, უსაფრთხოების ნაწილში თანხის ხარჯვაზე უკმაყოფილებას და ევროპის ქვეყნებში დაურეგულირებელ საემიგრაციო ტალღებს ეფუძნება. პირველ ნაწილში აშშ ითხოვს, რომ ნატოს წევრმა ევროპის ქვეყნებმა მეტი თანხა დაახარჯონ უსაფრთხოებას, რადგან ამერიკას შესაძლოა, მსოფლიოს სხვა ნაწილში შეექმნას უსაფრთხოების პრობლემები. ეს სამართლიანი პრეტენზიაა შემდეგი მიზეზის გამო - ევროპის ქვეყნები მსოფლიო იმპერიები აღარ არიან და მათი წვდომა, მაგალითად, წყნარ ოკეანეზე, საკმაოდ შეზღუდულია, თუმცა შეერთებული შტატები მსოფლიო ძალაა და მისი ინტერესი წყნარ ოკეანეზე, ისტორიულად, დიდია. თუკი მსოფლიო ომების შუაში შეერთებული შტატები, შეიძლება შეცდომით, მაგრამ მაინც, მოშორებული იყო ევროპულ საქმეებს, ის მაშინაც დიდ ყურადღებას აქცევდა წყნარ ოკეანეს იაპონიის დასაბალანსებლად. დღეის მდგომარეობით, ასეთი გამოწვევა წყნარ ოკეანეში ჩინეთია და ამერიკასაც თავისი სამხედრო შესაძლებლობების მიმართვა სწორედ იქით სჭირდება. რაც შეეხება ვენსის გამოსვლის შეფასებას, ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებაში იგი სრულიად არასწორად იქნა განხილული. იმის გამო, რომ მან ევროკავშირი გააკრიტიკა, რომლის წევრობაც გვსურს, ჩვენ არ მივაქციეთ ყურადღება იმ ნაწილს, რაც ჩვენთვის დღეს ასე მნიშვნელოვანია. მაგალითად, ვენსმა თქვა, რომ დემოკრატია არაა იქ, „სადაც პოლიტიკურ ოპონენტებს ციხეში სვამენ“. ასევე, მან თქვა, რომ „მედიის, არჩევნების გაუქმება და ხალხის პოლიტიკური პროცესისგან გამოთიშვა დემოკრატიის განადგურების წინაპირობაა“. იმის მიუხედავად, რომ ეს ასეთი აქტუალურია ქართული „პროტესტანტი“ ნაწილისთვის, მათ, რატომღაც, ვენსის ასეთი მნიშვნელოვანი და მხარდამჭერი სიტყვები სულ სხვაგვარად გაიგეს.

- რა მთავარი გამოწვევები ელოდება ტრამპს საგარეო პოლიტიკაში და ამ მხრივ როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის რანგში მის პირველ გადაწყვეტილებებს?

- ტრამპისა და „რესპუბლიკელების“ მთავარი გამოწვევა ეგრეთ წოდებული ბოროტების ღერძი - ჩინეთის, რუსეთისა და ირანის ერთიანობაა. მეცინება ხოლმე, როდესაც ტრამპს და მის გუნდს პრორუსებს ან რუსეთის მოყვარულებს ეძახიან. მათ, ყველამ, კარგად იციან, თუ რას წარმოადგენს რუსეთი და რამდენს აკეთებს ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგოდ, თუმცა „რესპუბლიკურ პარტიაში“ ჯერ კიდევ წლების წინ ისახებოდა გეგმა, რომ ჩინეთთან შეპირისპირება მხოლოდ რუსეთის მისგან გათიშვით იქნება შესაძლებელი. უკვე დაახლოებით ჩანს, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ამ მიმართულებით მოქმედებს. ქართულ საზოგადოებაში ჩინეთის გლობალური როლი საკმაოდ მწირად არის შეფასებული. ჩინეთი მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილის მთავარი სავაჭრო პარტნიორია და მზარდი სამხედრო შესაძლებლობები აქვს. როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ განაცხადა, „ჩინეთი, ყველა შემთხვევაში, ძლიერი ქვეყანა იქნება, თუმცა ჩვენი ახლანდელი ამოცანაა, ის ისე არ გაძლიერდეს, რომ მასზე დამოკიდებულნი გავხდეთ“. ამიტომ ამერიკელები ამ საკითხს იმაზე უფრო მეტი სერიოზულობით ეკიდებიან, ვიდრე წარმოგვიდგენია.

- „ჩვენ მრავალპოლარულ მსოფლიოს დავუბრუნდებით, რადგან არსებობს ჩინეთი და, გარკვეულწილად, რუსეთი“ - მარკო რუბიოს ეს განცხადება რამდენად შეიძლება გახდეს „ახალი იალტის“ მოწვევის წინაპირობა?

- მოვლენების ბოლოდროინდელი განვითარებიდან გამომდინარე, მათ შორის, პირდაპირ ვიტყვი, ამერიკელების ისეთი შეცდომიდან გამომდინარე, როგორიც იყო ბუშის დროს - ერაყი, ხოლო ობამას დროს - რუსეთთან გადატვირთვა, ბაიდენის დროს კი უკრაინაში შეჭრის დაშვება, ამერიკის საგარეო პოლიტიკა უმძიმესი დილემების წინაშე დადგა. ტრამპის ამჟამინდელ ადმინისტრაციას უწევს იმ სირთულეებთან გამკლავება, რაც წლების განმავლობაში ამერიკას დაუგროვდა და საგარეო პოლიტიკური გუნდისა და პრეზიდენტის დინამიზმიც ამითაა გამოწვეული. ფაქტია, რომ ამ ვითარებაში ამერიკას არ შეუძლია ყველა საფრთხის გამკლავება, რის გამოც იგი საუბრობს მრავალპოლარულ მსოფლიოზე. როგორც ჩანს, ამერიკა თანახმა იქნება, რუსეთს ჰქონდეს გარკვეული გავლენები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. იგივე შეიძლება ითქვას ჩინეთზეც, თუმცა უფრო ზუსტად რა გავლენებზეა საუბარი და რომელ რეგიონებს შეეხება ყველაფერი ეს, ჯერჯერობით ძალიან რთული სათქმელია. ფაქტია, რომ რუსეთის სურვილი, შეჩერებულიყო ნატოს გაფართოება, არ გამართლდა და მისი მოსაზღვრე ფინეთი უკვე ალიანსის წევრია, რომელსაც 1300-კილომეტრიანი საზღვარი აქვს რუსეთთან, ხოლო, როგორც ვთქვით, ჩინეთის, როგორც კონკურენტუნარიანი სახელმწიფოს მოლოდინი ამერიკელებს უკვე აქვთ. ჩემი აზრით, მათი ხედვა მშვიდობის შენარჩუნებაა და ეს მიიღწევა ნაკლები კონფრონტაციის გზით. ამას უნდა მივაწეროთ ტრამპის სიტყვები, რომ „პუტინი და სი ძინპინი მისი მეგობრები არიან“.

- რამდენად მოსალოდნელია, აშშ რუსეთის მოთხოვნებს (გავლენის სფეროების გადანაწილება თუნდაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზიანოდ) დათანხმდეს?

- ვფიქრობ, ამ მხრივ, რუსეთის შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ერთი იმიტომ, რომ ბალტიისპირეთი უკვე ნატოს წევრია და იქ მათი გავლენები ისედაც მცირეა. უკრაინაში, როგორც ჩანს, რუსეთი ტერიტორიების ნაწილის დაკავებას შეძლებს, თუმცა გავერანებული და თავისივე ბომბებით დანგრეული, დაუსახლებელი ადგილები რთული წარმოსადგენია, რისთვის სჭირდება. მე მგონი, რუსეთს მისი აღდგენის რესურსები დღეს ნამდვილად არ აქვს. რაც ყველაზე მთავარია, რუსეთს აქვს სერიოზული დემოგრაფიული კრიზისი, რაც კიდევ უფრო გამორიცხავს აღმოსავლეთ უკრაინაში რაიმე გეგმის განხორციელებას. დარჩა შუა აზია და კავკასია. შუა აზიაში, ენერგომატარებლების გამო, ჩინეთის გავლენები ძალიან გაზრდილია და რუსეთი იქ ერთპიროვნულ ოპერირებას ვერანაირად შეძლებს. ჩემი ინფორმაციით, ასეთივე გეგმები აქვთ ამერიკელებს, ამიტომ რუსეთი ვერც იქ დაიბრუნებს ადრინდელ კონტროლს. რაც შეეხება კავკასიას, აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა სასწორზე. საქართველოს მაგალითი რომ მოვიყვანოთ, დღეის მდგომარეობით ჩვენთან არსებული გეოპოლიტიკური სიტუაცია სრულიად დაუბალანსებელია რუსეთისა და ჩინეთის სასარგებლოდ, ანუ ამერიკა და დასავლეთი, ჯერჯერობით, დიდწილად, თამაშიდანაა გასული, თუმცა მეეჭვება, ეს ვითარება დიდხანს გაგრძელდეს. გვინდა თუ არა, ჩვენი სტრატეგიული ბედია, რომ სავაჭრო გზების კუთხით მნიშვნელობა გვქონდეს. ჩვენი მნიშვნელობა ამ მხრივ კიდევ უფრო იკვეთება ინდოეთის თამაშში შემოსვლის გამო, რადგან თუ ჩინეთიდან შეიძლებოდა, რუსეთის გავლით, ევროპაში ტვირთების ჩატანა, ინდოეთიდან ეს გზა ძალიან შორია. ამდენად, მომავალი წლების განმავლობაში საქართველოს როლის ზრდა ამ მხრივ გარდაუვალია დასავლეთისთვის. შესაბამისად, საქართველო უნდა იყოს ინტერესთა ბალანსის არეალი და არა რომელიმე სახელმწიფოს პირდაპირი გავლენის სფერო. მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი მშვიდობის მიღწევა ჩვენს საზოგადოებაში.

- „თუ ტრამპი გააგრძელებს ამ სიჯიუტეს და საქმეშიც ცალსახად დათმობს პოზიციებს, ის არა მარტო საკუთარ პოლიტიკურ ფიგურას, არამედ მთელ თავის გუნდს და პარტიას დაღუპავს“ - ეს თქვენი სიტყვებია...

- საქმე ისაა, რომ ტრამპი, როგორც ფიგურა, აუტსაიდერია და არ არის ეგრეთ წოდებული ისტებლიშმენტის, პოლიტიკური საზოგადოების ნაწილი. იგი ბიზნესიდან მოვიდა. შესაბამისად, აქამდე მისი წარმატება ემყარებოდა პოლიტიკურ გამარჯვებებს და არა დათმობებს. მას ჰყავს საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია და ორგანიზებული, მის წინააღმდეგ განწყობილი მეინსტრიმმედია. ამდენად, თუ იგი მძიმე სტრატეგიულ შეცდომას დაუშვებს, მის გუნდზე ეს ძალიან ცუდად აისახება. უკრაინაში შეერთებულმა შტატებმა ასობით მილიარდი დახარჯა. წარმოვიდგინოთ, სტრატეგიული მიზნები სულ რომ გამორიცხული იყოს, რა აზრზე იქნება ამერიკელი გადასახადის გადამხდელი, თუ მისი ფული წყალში გადაიყარა და შედეგად არაფერი მიიღო. რით იქნება ტრამპი უკეთესი, მაგალითად, ჯორჯ ბუშზე, რომლის მიმართაც ამერიკელებს ზუსტად იგივე პრეტენზია ჰქონდათ და ძალიან კრიტიკულები იყვნენ? სწორედ ამიტომ ტრამპი აპირებს, შეთანხმება დადოს უკრაინასთან, რომ უკრაინულმა რესურსებმა ერთგვარი კომპენსაცია უზრუნველყოს, მაგრამ როგორ მოხერხდება ეს უსაფრთხოების გარანტიების გარეშე? რა თქმა უნდა, ამ ხელშეკრულებას აზრი არ ექნება, თუ რუსეთი ომს გააგრძელებს და კიევამდე ჩავა. მართალია, ტრამპი პირდაპირ ბევრს არაფერს ამბობს ამაზე, თუმცა იგი, დიდი ალბათობით, უზრუნველყოფს უკრაინის სამომავლო დაცვას, რათა აღნიშნულ რესურსებზე წვდომა შეინარჩუნოს. აღნიშნული ფრაზა რომ დავწერე, იმ პერიოდში ტრამპი ზედმეტად დაუბალანსებელ ანტიუკრაინულ პოზიციებს აყოერებდა, თუმცა მისი ბოლოდროინდელი რიტორიკა და შეთანხმება უკრაინასთან, სწორედ ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებაზე მიუთითებს.

- რუსეთის ნდობა რომ არ შეიძლება, ცნობილი ფაქტია. რა გარანტია არსებობს, რომ ომის შეწყვეტის შემდეგ ის კვლავ არ დააპირებს ახალ აგრესიას უკრაინის ან სხვა სახელმწიფოს მიმართ?

- ტრამპის პრეზიდენტობა იმით გამოირჩეოდა სხვებისგან, რომ მის დროს პუტინი თავს არავის დასხმია. რომ გადავხედოთ, ბუშის დროს ჩვენი ტერიტორიები წაიღეს, ობამას დროს - ყირიმი, ხოლო ბაიდენის დროს სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყეს უკრაინაში. ეს ტრამპის „მშვიდობა ძალის მეშვეობით“ პოლიტიკის შედეგია. მართლაც, ალბათ გაეცანით ირაკლი ალასანიას ინტერვიუს, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს მიმართ დასავლეთის ქვეყნებს იარაღზე სრული ემბარგო ედოთ, რა თქმა უნდა, რუსეთის მოთხოვნით. ამას 2017 წელს ტრამპის ადმინისტრაციისთვის ხელი არ შეუშლია, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის „ჯაველინები“ გადმოეცა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა ბუჩასთან რუსული ტანკების შეჩერებაში. რუსეთი ახალ აგრესიას მხოლოდ ძალის დემონსტრირების და ჩვენების შემთხვევაში აარიდებს თავს. შეერთებული შტატებისთვის მსოფლიო მშვიდობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მას აქვს ინტერესი, ამერიკაში კიდევ უფრო გაიზარდოს წარმოება და რაც შეიძლება მეტი ბაზარი მოიცვას. ამიტომ, იგი ეცდება ამ ინტერესის განხორციელებას.

- ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ტრამპი უფრო მეტად ხისტია მოკავშირეების, ვიდრე რუსეთის და ჩინეთის მიმართ...

- ეს საინტერესო ფენომენია. როგორც თავში უკვე აღვნიშნე, ამერიკელებმა შესანიშნავად იციან, რომ რუსეთი და ჩინეთი უდიდესი საფრთხეების შემცველი მტრები არიან, თუმცა, როგორც ჩანს, ეს მისი მიდგომაა საგარეო პოლიტიკური შედეგების მიღწევის კუთხით. ჩინეთი ტრამპის ნომერ პირველი სტრატეგიული მოწინააღმდეგეა, რომელზეც იგი ჯერ კიდევ 2015 წლიდან საუბრობს, ამიტომ ჩინეთისა და სი ძინპინის სიყვარულს მას ვერავინ დააბრალებს. იგივე შეიძლება ითქვას პუტინზეც, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ამერიკის უმთავრესი მიზანი, დღესდღეობით, დაკარგული ბაზრების დაბრუნება, ამერიკული კომპანიების მიერ შეერთებულ შტატებში რეინვესტირება და სავაჭრო გზების დაცვაა. ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები მას ამაში ხელს არ უშლიან და ენის მოჩლექით საუბარი არაა საჭირო, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთსა და ჩინეთზე. რაც შეეხება ევროპას, მათ მიმართ არსებული პრეტენზიები ამერიკის ისტორიაში ტრამპს პირველს არ გამოუხატავს. ჰარი ტრუმენიდან მოყოლებული, ისინი სთხოვდნენ ევროპას, თავდაცვაზე მეტი დაეხარჯათ, თუმცა, როგორც ჩანს, დღეს ის მოცემულობაა, რომ ამერიკა ამის აბსოლუტურ აუცილებლობას ხედავს, რის გამოც ცდილობს, გამოაღვიძოს მოკავშირეები. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ტრამპის ყველა საჯარო განცხადება რაღაც ქვეტექსტს შეიცავს და ბრძნული პოლიტიკური გამოვლინებაა. რა თქმა უნდა - არა. ის იმდენ პრესკონფერენციას ატარებს, ბუნებრივია, რიგ შეცდომებსაც დაუშვებს, მაგრამ ევროპასთან მიდგომა ნამდვილად ერთ ძირითად მიზანს ემსახურება და ეს მათ მიერ თავიანთ თავდაცვაზე მეტის ხარჯვაა.

- დაბოლოს, წყდება თუ არა უკრაინაში ევროპის და, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალი?

- ცხადია, რომ დიდწილად - დიახ. საბედნიეროდ, გარკვეულად, უკვე გამოკვეთილია რუსეთის ფედერაციის სისუსტეები ამ კონფლიქტიდან გამომდინარე. წარმოვიდგინოთ, როგორ შეძლებდა იგი ევროპისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას, თუკი უკრაინის 20%-ზე მეტის დაკავება ვერ მოახერხა? ვფიქრობ, სწორედ ამიტომაა, რომ ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ესპანეთი, იტალია, საკმაოდ არხეინად გრძნობენ თავს და არ ზრუნავდნენ თავიანთი სამხედრო ბიუჯეტის ზრდაზე ბოლო 3 წლის განმავლობაშიც კი, თუმცა ტრამპის ეფექტის დადებითი მხარეები, პირველ რიგში, ალბათ, ისაა, რომ მათ ამ მიდგომის შეცვლა მოუწევთ და ევროპაც ბევრად უფრო დაცული კონტინენტი იქნება. რა თქმა უნდა, თუკი უკრაინის დამარცხება გახდებოდა შესაძლებელი, რიგში არაერთი ქვეყანა იყო, მათ შორის, ალბათ, ჩვენც, თუმცა, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, უკრაინამ ისეთი დონის სამხედრო პოტენციალი გამოავლინა, რომ მის შეიარაღებასა და სამომავლოდ კიდევ უფრო გაძლიერებაში ევროპაც და ამერიკაც დიდ როლს ითამაშებენ. წარმოვიდგინოთ: თუკი ამერიკას ნამდვილად სურს დაუთმოს მეტი დრო მსოფლიოს სხვა რეგიონებს, რატომ უგულებელყოფს იგი უკრაინის მსგავს ბრძოლისუნარიან ქვეყანას, რომელსაც სამომავლოდ უდიდესი როლი შეუძლია ითამაშოს ევროპის დაცვაში? ასე რომ, ამ დროისთვის, ვფიქრობ, ოპტიმიზმის საფუძველი უკვე არსებობს, განსაკუთრებით - წიაღისეულის შესახებ უკრაინასა და შეერთებულ შტატებს შორის დადებული შეთანხმების შემდეგ.

P. S. ინტერვიუ ჩაწერილია ტრამპისა და ზელენსკის სკანდალურ შეხვედრამდე თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში.

„უფალი გვაძლიერებს, მშვიდობა – ღვთივკურთხეულ საქართველოს!“

დეკანოზი იოანე (ჩხუბაძე) საქართველოს საპატრიარქოს სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურია. სამი შვილის მამა, მათ შორის, ტყუპი ქალ-ვაჟის, მეოთხე შვილს ელოდება. მას დედისა და ქალთა კვირეულის დღეებში ვესაუბრეთ

- პირველ რიგში, ყველა დედასა და ქალს ტრადიციულ დღესასწაულებს მივულოცავ. როცა დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დედის დღე დააწესა, დაბადებულიც არ ვიყავი. სკოლის მერხიდანვე გავითავისე და შევისისხლხორცე ამ დღის მნიშვნელობა, თანაც ისეთი კეთილი ადამიანის წყალობით, როგორიც ჩემი დედობილი ნანა ბერიძეა. ჩემთან ერთად, ოჯახში კიდევ ძმა და ორი და იზრდებოდნენ. მოყვასის სიყვარული, უფლისადმი პატივისცემა ოჯახიდან მომდგამს. პირველად მეძლევა პატივი, გაზეთის საშუალებით დედობილს, დებსა და მეუღლეს, ყველა ქალსა და დედას გაზაფხულის ლამაზი დღესასწაულები მივულოცო. ძლიერი ერის მამაკაცებს ყველა ეპოქაში სახელოვანი დედები გვერდით ედგნენ. უფლის წყალობით, ეს კეთილი მისია 21-ე საუკუნეშიც გაგრძელდება.

- ქედის რაიონის ისტორიული სოფლის შვილი ხართ. მის წარსულსა და დღევანდელობას როგორ შეაფასებთ?

- როცა მშობლიურის შეფასებაზე მიდგება ჯერი, იქ რაიმე კრიტერიუმის მოძებნა რთულია. მე და ყველა ჯალაბაშვილებელს გვეამაყება, რომ მაღლა გორზე შემონახული ციხის ნანგრევები შორეულ წარსულში გვახედებს, სოფლის ბოლოში არსებული თაღოვანი ხიდი კი მომსწრეა იმ ტანჯვა-ვაებისა, რაც მართლმადიდებლური სარწმუნოების დამცველებმა გადაიტანეს. მემატიანეებს თუ ვერწმუნებით, ორ დღეს მოედინებოდა მდინარე აჭარისწყალი ქრისტეს რჯულის დამცველების სისხლით შეღებილი. მათ თავს კვეთდნენ და მდინარეში ყრიდნენ. ყოველივე ეს ნათლად წარმოაჩინა ხარაულელმა მწერალმა თამაზ აბულაძემ ისტორიულ რომანში. ბავშვობიდანვე ვიწამე მართლმადიდებლობის არსი. სამი სკოლის (ჯალაბაშვილების, ხარაულის, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის) მოსწავლე ვიყავი. ყველგან კარგი მასწავლებლები მყავდა. მათ მასწავლეს ქვეყნის სიყვარული, მრწამსისადმი ერთგულება. ოჯახში პირველი ვეზიარე მართლმადიდებლობას. ახლა ყველა ქრისტიანულად ვლოცულობთ.

- გზა, რომელიც დეკანოზობამდე გამოიარეთ...

- დამამთავრებელ კლასში 150-მდე მოსწავლე ვიყავით. ყველანი ერისა და ქვეყნის სამსახურში ვართ. ჩემი ნათლია ასლან კვირიკაძე უკვე წარმატებული ქირურგია და თბილისში მუშაობს. მისი რჩევით, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, სწავლა გავაგრძელე ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სემინარიაში. სკოლასა და სემინარიაში სწავლის წლებში ვიყავი სტიქაროსანი. დიდ მადლად მიმაჩნია, რომ 2013 წლის ივლისში, როცა სხალთის ეპარქიაში უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩამობრძანდა და 1300-ზე მეტი ადამიანი მონათლა, ამ ღვთისმსახურებაში ვმონაწილეობდი როგორც სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონის სტიქაროსანი. აქვე გეტყვით, რომ დიდია მეუფე სპირიდონის ღვაწლი, ახლა რომ ღვთისმსახურებაში ვარ. მისი ლოცვა-კურთხევითა და თანადგომით 10-ზე მეტი ადგილობრივი მღვდელმსახური ვართ. მე 2015 წლის ივნისში ხელდასხმული ვიქენი დიაკვნად და მეწოდა სახელი იოანე, 2016 წლის აგვისტოში კი დეკანოზად გამომარჩიეს. მეამაყება, რომ ამაღლებული განწყობით შევდივარ სხალთის ტაძარში. მღვდელმსახურებას ვეწევი ხიჭაურის, დაბა ხულოს, დაბა შუახევის ტაძრებში. მომსწრე ვარ იმ დღეებისა, როცა ხიჭაურის, ხულოს, შუახევის, ქედის, ელვაურის, ზესოფლის ტაძრების საძირკვლებში დუღაბი ჩაასხეს და გარდა ორისა (ქედა, ელვაური), ყველგან უკვე ლოცვა ტარდება.

- მალე მეოთხე შვილის მამა გახდებით...

- გაბრიელი, სიდონია და ნიკოლოზი ჩვენი სიცოცხლეები არიან. ტყუპების - სიდონიასა და ნიკოლოზის ნათლობა ადგილზევე შედგა. უფლის ნებით, წუთისოფელს მეოთხე რომ მოევლინება, მისი ნათლია უწმინდესი და უნეტარესი იქნება. მე და ელისაბედი (მელაძე) არც ოთხ შვილზე ვაპირებთ გაჩერებას. ვიცით, რომ მრავალი შვილი ერის უკვდავებაა.

- თქვენი მეშვეობით, მრავალი ადამიანი მართლმადიდებლობას ეზიარა. მნიშვნელოვანს თუ გაიხსენებთ?

- მახსენდება თანასოფლელი, 70 წელს გადაცილებული ბორის ცინცაძე ჯერ მეუღლესთან ერთად მოინათლა, შემდეგ ჯვარიც დაიწერეს. უხუცესების მსგავსად, მნიშვნელობას მცირეწლოვნების ნათლობასაც ვანიჭებ. იმ ტერიტორიაზე, სადაც ქრისტეს მოციქულებმა სახარება იქადაგეს და ქრისტეშობიდან 37 წელს ტაძარი ააშენეს, ცეცხლითა და მახვილით წართმეულმა მრწამსმა თავისი ადგილი უნდა დაიბრუნოს. ის დიდი საქმეები, რომლებსაც სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი აკეთებს, ფასდაუდებელ ადგილს დაიჭერს ჩვენი კუთხის ისტორიაში. მისი მთავარეპისკოპოსად კურთხევიდან მალე 20 წელი შესრულდება. გონივრად თუ განვსჯით ამ პერიოდს, ვიტყვი, რომ ტაძრების მშენებლობითა და მართლმადიდებლობასთან დაბრუნებით ეს დრო ეპარქიის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. ახალი ტაძრების მშენებლობა, ხიჭაურის დასახლებაში საქართველოს საპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტისა და წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის გახსნა კეთილი და მადლიანი საქმეებია. ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ეზიარა საშუალო და უმაღლეს განათლებას ხიჭაურის საგანმანათლებლო კერებში. რომ არა მეუფის ლოცვა-კურთხევა, ყოფილი რუსული სამხედრო ნაწილი ახლა გაპარტახებული იქნებოდა. მოსწავლეს კარგად მახსოვს 2008 წლის სექტემბერი, როცა უნივერსიტეტი გაიხსნა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, მწერალმა ფრიდონ ხალვაშმა ამ მოვლენას ლექსი „ხიჭაურის უნივერსიტეტი“ მიუძღვნა. ისიც საგულისხმოა, რომ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები აჭარის მთიანეთის მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეები, მეცნიერები, კერძო სექტორსა და ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში მომუშავე წარმატებული სპეციალისტები არიან.

- სასწავლო კერების მომავალი როგორ გესახებათ?

- მათ კვლავ მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ. კვალიფიციური პედაგოგები, მეცნიერები საქმიანობენ სკოლასა და უნივერსიტეტში. დასახლებაში, მეუფის ლოცვა-კურთხევით, რიგი სიახლეების მოლოდინში ვართ. ჩვენი ვალია, ვიყოთ ამ სიახლეების სათავეებთან, ყოველდღიური ლოცვებით, ღვთისმსახურების სხვა რიტუალების შესრულებით დავიცვათ მართლმადიდებლური სიწმინდეები, მრევლის სიყვარული და პატივისცემა დავიმსახუროთ. უფალი გვაძლიერებს, მშვიდობა და კეთილდღეობა ღვთივკურთხეულ საქართველოს! ქვეყნის ხელისუფალის ძალისხმევაც ხომ მშვიდობისა და ხალხის კეთილდღეობისაკენაა მიმართული. 21-ე საუკუნეში ერთხელ კიდევ დასტურდება ხალხისა და ეკლესიის ერთიანობა. ყველა მიმართულებით მართლდება ის წინასწარმეტყველება, რომელსაც წმინდა მამები ქადაგებდნენ.

- მეუღლე, რომელიც ცხოვრების გზა-სავალზე დიდ თანადგომას გიწევთ...

- უფალს მადლობა, რომ სიყვარულსა და ბედნიერებაზე დაფუძნებული ოჯახი მყავს. ელისაბედი ღირსეული დედაა, რასაც კიდევ ერთგული მეუღლის, წარმატებული საჯარო მოხელის მოვალეობებს უთავსებს. შევთხოვ უფალს, ჯანმრთელი იყოს და შვილების, შვილიშვილებისა და მომდევნო თაობების სიკეთითა და სიმრავლით ხარობდეს.

„საქართველოში ქალი და მამაკაცი იყვნენ და იქნებიან თანასწორნი“

ჩვენი გაზეთის სტუმარია შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ედნარ კეშერაძე.

- წლევანდელმა ზამთარმა ქვეყანასა და მის ხელისუფალს მოულოდნელი და მკაცრი გამოცდა ჩაუტარა. ყველას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გამოცდა ჩაბარებულია. ჯერ ოქტომბერში მოსულმა თოვლმა საგრძნობლად დააზარალა აჭარის მთიანეთის მოსახლეობა. ყველანი ვფიქრობდით, რომ ზამთარი, მისგან მოსალოდნელი გართულებები დაძლეული იყო, მაგრამ თებერვალმა შეგვახსენა, რომ ზამთრის თვეა. მიუხედავად იმისა, აჭარის მთიანეთის სოფლებში სამი დღის განმავლობაში მოსული თოვლის საფარი 2 მეტრს აღემატებოდა, არავის დაუწუწუნია საკვები პროდუქტების ნაკლებობაზე, სხვა ცხოვრებისეულ პრობლემებზე. უფროსი თაობის ადამიანებს ისეთი ზამთარიც ახსოვთ, სოფლებიდან რომ ვერ გამოდიოდნენ, დენი და სხვა სიკეთე თვეობით არ ჰქონდათ. შორს წასვლა არ გვინდა - 2013 წლის დეკემბრის გახსენებაც საკმარისია. ალბათ, აპრილის ბოლომდე შემორჩება თოვლი სოფლებს. მაქსიმუმს ვაკეთებთ, რომ ბიუჯეტში მობილიზებული ყველა თეთრი მიზნობრივად გაიხარჯოს.

- ზოგიერთები გაკეთებულს მაინც ვერ ხედავენ...

- დაუნახაობა დიდი ცოდვაა, მაგრამ ისეთი ადამიანისგან, ვისაც სამშობლო საფიცრად არ გაუხდია, ყველაფერია მოსალოდნელი. მეც მრავალგზის გავხდი შემოტევისა და ბულინგის მსხვერპლი, მაგრამ ზოგიერთებისთვის პასუხის გაცემას შეგნებულად ვარიდებდი თავს, თურმე სათქმელი უნდა თქვა... ერთხელ მაინც ხომ უნდა დაფიქრდნენ, რა ვითარებაში უხდებოდათ სტიქიასთან გამკლავება ელექტრიკოსებს, მექანიზატორებს, მაშველებს, სამედიცინო ეკიპაჟს. ტელევიზორების ეკრანებიდან, თუნდაც საზოგადოებრივი ქსელით მწარე კომენტარების გაკეთება იოლია, მაგრამ მექანიზატორი ტრაქტორიანად თოვლის ზვავში რომ მოჰყვა, ამაზე არავინ ამახვილებს ყურადღებას. მრავალმა აღნიშნა ის თანადგომა, რაც აჭარის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს, თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სტიქიის შემოტევის დღეებში გამოიჩინეს. იმასაც ვიტყვი, რომ თოვლის ამ რაოდენობისგან ჯერ კიდევ დიდი, გაუთვალისწინებელი საფრთხეებია მოსალოდნელი. მარტის არეული ამინდები, თოვლის ინტენსიური დნობა აჭარის მთიანეთის რიგ ადგილებში მეწყრულ პროცესებს გააქტიურებს. არც ზვავების ჩამოწოლისგან ვართ დაზღვეულნი. ჩვენი ვალია, სიტყვითა თუ საქმით მოსახლეობასთან ვიყოთ. ერთი მოუზომელი ან ნაჩქარევად გაკეთებული საქმე შესაძლებელია, ძვირად დაგვიჯდეს.

- საკრებულომ 2025 წელი გაზრდილი ბიუჯეტით დაიწყო. თებერვალში კიდევ შეიტანეთ ცვლილებები. რას ხმარდება მომატებული თანხები?

- აქვე გეტყვით, რომ მატება კიდევაა მოსალოდნელი - წლის ბოლომდე ადგილობრივი ბიუჯეტი ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწევს. ოპოზიციის შემოტევას ჩვენ მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვით ვპასუხობთ. წელს მოქმედებს 7 ახალი სოციალური დახმარების პროგრამა. წინა წლებთან შედარებით, თანხები ყველა მიმართულებით მომატებულია. მე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შუახევის ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანიც ვარ. ამომრჩეველი ჩვენი საქმიანობის დადებით მხარეებს ხედავს და მხარდაჭერაც დიდი იყო 2024 წლის საპარლამენტო და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე. მოლოდინი გვაქვს, რომ 2025 წლის თვითმმართველობის არჩევნებზეც იგივე განმეორდება. ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე წლებიდან დავიწყეთ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა, ალპურ საძოვრებზე არსებული მთის სახლების ელექტრიფიცირება, სოფლებსა და უბნებში მისასვლელი გზების შეკეთება და ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, პრევენციული ღონისძიებები სტიქიის შემოტევისგან დასაცავად.

- რა თანხებია მობილიზებული ქალთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად?

- მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილმა, სამი შვილის მამამ, კარგად ვიცი დედისა და ქალის ფასი. ყოველი მამაკაცის ვალია, მათ პატივი სცეს. შუახევში რამდენიმე პროგრამა მოქმედებს, რომლებიც დედისა და ქალის ინტერესებზეა მორგებული. საკრებულომ ორ პროექტს დაუჭირა მხარი, რომელიც მათი ცხოვრებისა და შრომის პირობებს გააუმჯობესებს.

- საქართველოში უქმდება გენდერული თანასწორობის საბჭოები. რამდენად მართებულია ეს?

- იმ ქვეყანაში, რომელსაც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ჰყავდა მეფე თამარი და მაშინ ვაღიარებდით ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, რაში გვჭირდება გენდერული ბალანსის სწავლება და მასთან დაკავშირებული პროცესები?! საქართველოში ქალი და მამაკაცი იყვნენ და იქნებიან თანასწორნი.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გამარჯვებული – ბათუმელი ნანუკა სტამბოლიშვილი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ცამეტი წელია ტელეკომპანია „იმედი“ გამორჩეულ მეგაშოუს - „ცეკვავენ ვარსკვლავები“ სთავაზობს მაყურებელს. რა თქმა უნდა, კონკურსანტები ყოველწლიურად იცვლებიან, მათი მეწყვილეები კი პროფესიონალი მოცეკვავეები არიან და ესა თუ ის წყვილი ყოველთვის დაუვიწყარ შოუს ჩუქნის გულშემატკივარს

წლევანდელი სეზონი აჭარაში მცხოვრებათათვის კიდევ უფრო საინტერესო გახადა ბათუმელმა მსახიობმა, დიზაინერმა, მოდელმა ნანუკა სტამბოლიშვილმა. მან პროფესიონალ მოცეკვავე რატი გაჩეჩილაძესთან ერთად, თავისი ახალი შესაძლებლობები გამოავლინა. მათ ყოველ გამოსვლას ჟიური მაღალი ქულებით აფასებდა და ეს წყვილი ყოველი ტურის შემდეგ ლიდერთა სამეულში გახლდათ.

ფინალში სამი უძლიერესი წყვილი გავიდა: მომღერალი ანი კეკუა (ასევე ბათუმელი) და ოთო წიკლაური, მომღერალი მარიამ შენგელია და სანდრო საბაძე და ნანუკა სტამბოლიშვილი და რატი გაჩეჩილაძე. სამივე წყვილმა საფინალო ტურში „პოსადობლე“ შეასრულა და სამივემ ერთნაირად უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

ჟიურის სამივე წევრმა (ირაკლი მაქაცარია, შორენა გაჩეჩილაძე-ჩერტკოევი, გოჩა ჩერტკოევი) არა მხოლოდ ნანუკას იმდღევანდელი გამოსვლა შეაფასა, არამედ აღნიშნა, რომ ფინალამდე ეს წყვილი დამსახურებულად მივიდა, მიუხედავად იმისა, რომ ნანუკას რამდენჯერმე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდა, რასაც მაყურებელი ვერც კი ამჩნევდა. მისი ჰაეროვანი, მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული ცეკვა ყოველთვის დასამახსოვრებელი იყო. აღინიშნა, რომ ნანუკა სულით მებრძოლია, რაც აუცილებელია კონკურსისთვის.

ნანუკა სტამბოლიშვილის თაყვანისმცემლებმა დანარჩენი ორი წყვილის გულშემატკივრებს „აჯობეს“ და მეცამეტე სეზონის გამარჯვებულად სწორედ ნანუკა სტამბოლიშვილის და რატი გაჩეჩილაძის წყვილი დასახელდა. აქვე შეგახსენებთ, რომ ნანუკა სტამბოლიშვილს თაყვანისმცემლები მოუმრავლა თურქულ სერიალში „ემანეთი“ („სხვისი შვილი“) მთავარი როლის შესრულებამ. მისი გმირი შეიყვარა ასობით თურქმა (არა მარტო) მაყურებელმა.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ნანუკას პარტნიორი ფილმში „ემანეთი“, ალბანელი მსახიობი ნიკ ჯელილაიც მონაწილეობდა და მასაც არანაკლები გულშემატკივარი ჰყავდა არაერთი ქვეყნიდან, მათ შორის, საქართველოდან.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალურ ტურს მეც ვესწრებოდი და მისი დასრულების შემდეგ რამდენიმე კომენტარის ჩაწერაც მოვახერხე.

ნოე სულაბერიძე, პროდიუსერი:

- ნამდვილად გამორჩეული სეზონი გვქონდა, თუნდაც იმით, რომ ფინალში აჭარის ორი წარმომადგენელი გვყავდა. რა თქმა უნდა, მათი გამორჩევა ცეკვის სიძლიერით რთული იყო და აქ უკვე მაყურებელმა გადაწყვიტა, ვინ იყო უკეთესი. ვულოცავ ნანუკას ამ არაჩვეულებრივ ფინალს და წარმატებას, მადლობა აჭარას ასეთი წარმომადგენლებისთვის.

ნანუკა სტამბოლიშვილი:

- ძალიან ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა ჩემს გულშემატკივარს, ყველას, ვინც თუნდაც ერთი ზარი ან ერთი სმს-ი გამომიგზავნა, მიყვარხართ და მიხარია, რომ მყავხართ. რამდენჯერაც ნაჩუქარ ბინაში შევალ, მუდამ გამახსენდება, რომ ამაში დიდია თქვენი წვლილი.

იხ. მე-8 გვ.

დიორამაში გაცოცხლებული მოგონებები

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ***ნათია ლელაშვილი****, პარტნიორ ოთო ოქროსცვარიძესთან ერთად, დიორამებს (სამგანზომილებიანი სრული ზომის ან მინიატურული მოდელი, რომელიც აცოცხლებს რეალურ ან წარმოსახვით ადგილებს) ქმნის. ეს საკმაოდ შრომატევადი, კომპლექსური და საინტერესო პროცესია. როგორ ხდება მოგონებების გაცოცხლება დიორამებით და რა სირთულესთანაა დაკავშირებული, ამ და სხვა საკითხებზე უფრო დაწვრილებით ნათია გვესაუბრება.*

- როგორ და როდის დაინტერესდით დიორამების შექმნით?

- საზოგადოების მოთხოვნა დიორამების მიმართ გაიზარდა, ამიტომ მე და ოთომ გადავწყვიტეთ, სიღრმისეულად შეგვესწავლა ეს საქმე. თავდაპირველად, „იუთუბიდან“ ვსწავლობდით, შემდეგ მოვიძიეთ უცხოელი ხელოვანების ნამუშევრები და სტატიები, სადაც აღწერდნენ, რა მეთოდებით ქმნიდნენ დიორამებს, რაც ძალიან საინტერესო და მრავლის მომცველი იყო. ჩვენი პირველი დიორამა შაშიაშვილების საგვარეულოს თელავის სახლი იყო, რომელიც ოჯახის უფროსის 80 წლის იუბილესთვის შეიქმნა.

- როგორია თქვენი სამუშაო პროცესი?

- სამუშაო პროცესი საკმაოდ რთული და შრომატევადია. სახლის ნახაზის შედგენა, მასალის დაჭრა, აწყობა, დეტალების დამუშავება, კარ-ფანჯარა, სახურავი, აივანი, კიბე, მოაჯირი, ხვეულები, ჭიშკარი, ღობე და კიდევ ძალიან ბევრი დეტალია, რასაც ხელით ვასრულებთ. ვფიქრობ, რადგან ნივთი ხელნაკეთია, აუცილებლად ყველაფერი ხელით უნდა გაკეთდეს, რაც ნამუშევარს უნიკალურს ხდის.

- ალბათ მუდმივად ცდილობთ განვითარებას. ცოდნას როგორ იღრმავებთ?

- სამუშაო პროცესი მუდმივად განვითარების გზაზე გვატარებს, თითოეული სახლის ინდივიდუალურობა და იქ არსებული დეტალები ზრდის ჩვენს ცოდნას.

- ძირითადად, რა მასალით მუშაობთ?

- სახლების დასამზადებლად ვიყენებთ: PVC, XPS (მათი ქართული შესატყვისი არ არსებობს), დეკორატიულ თიხას, დეკორატიულ ცემენტს, გერმანულ აკრილის საღებავებს. დანარჩენი უკვე ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

- რა არის ყველაზე რთული დიორამის შექმნის პროცესში?

- სამუშაო პროცესში ყველაზე რთული ნაწილი დეტალების გამოყვანაა. ამ დროს მაქსიმალური სიზუსტეა საჭირო, თუმცა ეს ყველაზე სასიამოვნო პროცესია.

- გამორჩეული დიორამა თუ გაქვთ?

- ყველას თავისი ისტორია აქვს, რომელსაც ჩვენს აუდიტორიას ვუზიარებთ. ყველა ნამუშევარი იმდენად ძვირფასია, რომ რთულია გამოვყო რომელიმე.

- როგორც ცნობილია, თქვენი დიორამების ძირითადი ადრესატები დევნილები ან ემიგრანტები არიან. ეს კი ალბათ დიდ ემოციასთანაა დაკავშირებული...

- ყველას გვაქვს საყვარელი ადგილი, სადაც მუდამ ვისურვებდით ყოფნას. ბოლო დროს კი ნამდვილად იმატა მომხმარებლების ნაწილმა ემიგრაციიდან. ასევე, იძულებით გადაადგილებული ადამიანების გასახარებლად გვიკვეთავენ შვილები, შვილიშვილები, ძმები, მეუღლეები. ამ ხალხთან საუბარი, ემოციები გვამოგზაურებს მათ მიტოვებულ ბუდეებში, რომლებსაც დიორამაში ვაცოცხლებთ. დამზადების პროცესში ამ სახლებში ვცხოვრობთ, მათი მოგონებებით გვიწევს ფიქრი.

- როდესაც ადრესატების რეაქციას ხედავთ, რას განიცდით?

- ძალიან მიყვარს, როდესაც საშუალება მაქვს, ადრესატისთვის ნამუშევრის პირადად გადაცემა და პირველი ემოციის, რეაქციის საკუთარი თვალით დანახვა-შეგრძნება. ყოველ ჯერზე ვხედავ, რომ ბევრი ადამიანია, რომელსაც ბედნიერების ასეთი განცდა სჭირდება და უნდა ვაჩუქო, ვხვდები, რომ ეს უნდა გავაგრძელო, რადგან ყველაზე ძვირფასი ჰონორარი მათი გულწრფელი ემოციებია.

- ძირითადად, რა დროს უთმობთ ერთი დიორამის შექმნას?

- დიორამის დამზადებას, საშუალოდ, ორი კვირა სჭირდება. სახლის დეტალების მრავალფეროვნებას და სირთულეს აქვს მნიშვნელობა, შეიძლება ერთი თვეც დასჭირდეს.

- გქონიათ შემთხვევა, როცა პროექტი არ გამოვიდა ისეთი, როგორიც გსურდათ?

- არცერთი შემთხვევა არ მახსენდება, რომ პროექტი ჩაგვვარდნოდა, ან არ გამოსულიყო. ალბათ ეს იმის ბრალია, რომ თვითკრიტიკულები და მაქსიმალისტები ვართ.

- როგორ ხედავთ ამ საქმის განვითარებას საქართველოში?

- სადაც უნდა იყო ადამიანი, თუ საკუთარი თავი არ განავითარე, ქვეყანა ხელს ვერ შეგიწყობს. მჯერა საქართველოს ევროპული მომავლის და მეტი შესაძლებლობების.

- კონკურენცია თუ არის?

- კონკურენტებად ვერ აღვიქვამ ხელოვანებს. მიხარია, თუნდაც ჩვენს მიმართულებაში, ახალი ხელოვანის აღმოჩენა. ყველას თავისი ხელწერა და ხედვა აქვს. ყველას ვუსურვებ წარმატებებს.

- ვფიქრობ, ჩვენი გაზეთის მკითხველს დაინტერესებს, სად შეიძლება თქვენი დიორამების შეძენა?

- შეუძლიათ სოციალურ FACEBOOK, INSTAGRAM, TIKTOK პლატფორმაზე გვიპოვონ. ჩვენი მისამართია: Natia's Golden Hands / ნათიას ოქროს ხელები.

„თითქოს ისევ ისმის სუნთქვა, ისევ დგას დედის სუნი, ისევ ის ძველი გაზაფხულია“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

გაზეთ „აჭარის“ სტუმარი პოეტი ***რეი აბუსელიძეა,*** *რომლის შემოქმედება მუდმივად იმსახურებს საზოგადოების მოწონებასა და სიყვარულს. განსაკუთრებით ეფერება ბათუმს, მიაჩნია, რომ ბათუმელობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, რომელიც გავალდებულებს, იყო ემპათიური, გიყვარდეს გულწრფელად, შენი ფასეულობებითა თუ შეხედულებებით ყოველთვის იდგე ისტორიის სწორ მხარეს.*

- დიდი ხანია არ ჩამიწერია თქვენთან ინტერვიუ. როგორ ხართ?

- მოგესალმებით, სტაბილურად ვარ. მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მეძლევა შანსი, თქვენს საინტერესო კითხვებს ვუპასუხო.

- პირველ რიგში, გილოცავთ ქალიშვილის - მართას დაბადებას. როგორი შეგრძნება იყო, როცა წლების შემდეგ, მეორედ გახდით მამა?

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. 14 წლის შემდეგ თავს ისევ ახალგაზრდად ვგრძნობ, ალბათ, ეს იყო ყველაზე პირველი შეგრძნება... რაც შეეხება სხვა, მნიშვნელოვან განცდებს, გამიმყარდა გრძნობა, რომ სიკვდილის აღარ მეშინია.

- რამდენიმე წლის შემდეგ, როცა თქვენი გოგონა ამ ინტერვიუს წაიკითხავს, რა სათქმელს დაუტოვებთ?

- უმთავრესი სათქმელი, რასაც პერიოდულადაც იგრძნობს, არის ის, რომ ამ ქვეყანას სიყვარულით მოევლინა, უდიდესი გრძნობის ნაყოფია და ირგვლივ ძალიან ბევრი ადამიანის გაბედნიერება შეძლო თავისი დაბადებით.

- წელს პირველად შეხვდით დედის დღეს დედის გარეშე...

- დიახ, ეს ყველაზე მძიმე სამი მარტი იყო ჩემს ცხოვრებაში. დედა ერთადერთი ადამიანია, ვინც ფიზიკურად ჩემ გვერდით აღარ არის და მაინც ჩემთან ერთადაა. ის იქცა ჩემს სიზმრად, მონატრებად და ფეხაკრეფით სიხარულად მის ოთახთან, საიდანაც თითქოს ისევ ისმის სუნთქვა, ისევ დგას დედის სუნი, ისევ ის ძველი გაზაფხულია.

- ხშირად ეხმიანებით ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებას. ადამიანებს მეტი ემპათიისკენ, ერთმანეთის დანდობისკენ მოუწოდებთ. როგორ ფიქრობთ, რა გზას გადის დღეს საქართველო და საზოგადოება?

- არცერთი გზა არ ყოფილა ჩვენი ქვეყნისთვის მარტივად გასავლელი. ზოგადად, საქართველო ის ორგანიზმია, რომელიც ძალიან რთული ქარტეხილებისა და ბრძოლის შედეგად აღწევდა სასურველ მიზანს და, ასევე, ის ქვეყანაა, რომელიც დღემდე სასწაულებრივად მოვიდა. აქედან გამომდინარე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, ყველაფერი თავის ადგილას დადგება. საქართველოს გზა არის ევროპაში, ქართველები კი ერთ-ერთი სამაგალითო ევროპელები არიან.

- პოეზია, ზოგადად მწერლობა, უნდა ეხმაურებოდეს, აღწერდეს, გადმოსცემდეს იმ რეალობას, რომელშიც ვცხოვრობთ... დღეს მწერლები, პოეტები რამდენად დგანან „იქ, სადაც ქარიშხალია“?

- საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თქვა აკაკიმ:

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ესა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა“.

დღეს „გარემოების საყვირი“ სოციალურმა ქსელმა ჩაანაცვლა, ის ქარიშხალიც ინტერნეტსივრცეში უფრო მძვინვარებს, ვიდრე ყოველდღიურობაში. პოეტების და მწერლების სიტყვაც გაუფასურდა თითქოს. უკვე ყველას ეძლევა საშუალება, საკუთარი აზრი საჯაროდ დააფიქსიროს და ცნება, რომ პოეტს ან მწერალს უფრო უსმენენ, მე პირადად, ამ ბოლო დროს აღარ მიგრძნია. რაც შეეხება ავტორების პოზიციას, ნამდვილად გვყავს პატრიოტი პოეტები და მწერლები, რომლებიც როგორც საქციელით, ასევე, შემოქმედებითაც ახერხებენ ისტორიის სწორ მხარეს დგომას.

- რთულია წერო და კიდევ უფრო რთული - წერო ისე, რომ შენი შემოქმედება ბოლომდე თავისუფალი იყოს. ჩემი აზრია და, გფიქრობ, ობიექტური - ყოველთვის ახერხებთ სწორი სათქმელის გაჟღერებას. თუ გაქვთ ახალი ლექსი, რომელსაც პირველად გაზეთ „აჭარის“ მკითხველს გააცნობთ?

- შემიძლია წაგაკითხოთ სულ ბოლოს დაწერილი ლექსი, რომელმაც პრემია „ქუჯი“ დაიმსახურა....

ბედის---წერა
ლექსი რომ გაიგონა რადიოდან,
მერე ღრუბელ-ღრუბელ დადიოდა.
ველარ მოიშუშა ეს იარა,
როცა „ლურჯა ცხენებს“ ეზიარა.
თოფის გამჭოლ მიზანს მოარიდა
გნოლი, აფრენილი ყორღანიდან.
ხოლო პოეზიის კალათაში
კრძალვით აგროვებდა ბარათაშვილს.
ჰქონდა მოთმინება ტუტისებრი,
სახლში გაახარა თუთის ნერგი...
მინდვრებს უფლისციხის ყაყაჩოთა,
თითქმის ყოველ ღამით დარაჯობდა,
„სადაც ყვავილები მთავრდებიან“,
ბარდნარს მიაშურა ვარდებიანს.
შემდეგ უცისფრესი მატარებლით -
მტვერში წაქცეული პატარები,
ცხოვრება რომ ექცათ პანაშვიდად,
ატარა, გაართო, დაამშვიდა.
ქალი რომ დალანდა ალუბლებთან,
ფურცელს მისი სტროფიც გაუბედა.
ლექსებით ავსებდა საქაღალდეს,
დაპირდა, დაბრუნდა! - აღარ დახვდნენ.
წყვდიადის სამყაროც მოიარა,
თუმც არ უ-MEMENTO MORI - არა.
დედა დაესიზმრა იმედიანს,
კაბისთვის გადადო სტიპენდია.
არადა, გრძნობები ველარ თმობდნენ,
ოთახში ჰაერზე მეტადყოფნებს.
(ოთახიც სხვაგვარად უხერხულობს,
ფარდები ამთქნარებს ტუბერკულოზს)
მეფე თუ ვერ შექმნა პაიკიდან,
თავი პოეზიით დაიმკვიდრა.
გალავნად მოედო დედამიწას,
ღმერთმაც ბეღურობის ნება მისცა.
მისი ნიკორწმინდაც ცად აზიდა
და იქცა ერთ-ერთად ათასიდან -
ვინც ლექსით ჯებირებს გაიტანდა,
ვინც ომში უშიშრად წავიდა და...

- გარდა პოეზიისა, საზოგადოებამ იცის თქვენი დამოკიდებულება ფილმებისადმი. თქვენი რეკომენდაციით, მეც და, დარწმუნებული ვარ, არაერთ ადამიანს უსარგებლია. გვირჩიეთ სამი ფილმი, თუ გნებავთ - მეტიც, რომლებმაც ბოლო დროს თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა...

- დღეს კინემატოგრაფიაში გარდამავალი პერიოდია, აქაც თითქოს ყველაფერი ითქვა და ყველაფერი გადაიღეს. არის ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორების ნამუშევრები, რომლებიც ეძებენ ახალ გზებს, თუმცა, ჯერჯერობით, განსაკუთრებული სიახლე ვერ შემოგვთავაზეს, ამიტომ ისევ ძველ ფილმებს მივუბრუნდი და გირჩევთ სამ ნაკლებად პოპულარულ ფილმს, სადაც ძლიერი დედის პერსონაჟებს განასახიერებენ მსახიობები. ეს ფილმები აუცილებლად დაიკავებენ ადგილს მაყურებლის გულში: „რა აწუხებს გილბერტ გრეიფს“; „ჩემი მარცხენა ფეხი“; „კაფე დე ფლორი“.

- ასევე გკითხავთ ფეხბურთზეც. თქვენმა მეგობრებმა ვიცით, როგორი განსაკუთრებული დამოკიდებულება და სიყვარული გაქვთ ამ სპორტის მიმართ. ქართული ფეხბურთის უდიდესი წარმატება ყველამ ერთად ვიზეიმეთ. მაინც, რომელი თამაში ან მონაკვეთი აღმოჩნდა თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი?

- რა თქმა უნდა, მომენტი, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში უკვე ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული. ნიკა კვეკვესკირის მიერ გატანილი თერთმეტმეტრიანი საბერძნეთის ნაკრების კარში, გოლი, რომელმაც ყველაფერი შეცვალა და ჩვენი ქვეყნის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე პირველად გაიყვანა.

- შეგრძნება, რომელიც არასდროს გტოვებთ...

- ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოყოლებული, უამრავი ახლო ადამიანი გამომეცალა ხელიდან. შეგრძნება, შიში, რომელიც თან მდევს, ეს არის ჩემთვის ძვირფასი ხალხის დაკარგვის შიში.

- ბათუმი რომ ლექსი იყოს, იქნებოდა...

- ალბათ, ძალიან ბევრი კარგი ლექსი იქნებოდა, თუმცა, პოეტი რომ იყოს, იქნებოდა აუცილებლად... მოდი, ასე გიპასუხებთ: ბათუმი არის ქალაქების... ქალაქტიონი.

- სულის სიმღერა...

- „ვერხვის ფოთოლთა“ - ჰამლეტ გონაშვილი.

- თუ შეიძლება პოეტთან, მწერალთან მეგობრობდე ისე, რომ არ გყავდეს ნანახი? თქვენ ვისი მეგობარი ხართ?

- ადამიანთან, რომელთანაც მხოლოდ ფიზიკური შეხება გაქვს და მისი სულიერი სამყარო შენთვის უცხოა - ვერ იმეგობრებ, მაგრამ თუ ადამიანს არ იცნობ და იცი მისი შეხედულებები, თვისებები და სულიერება, აბსოლუტურად რეალური იქნება, რომ მეგობარი უწოდო. ალბათ, უფრო მეტად ვმეგობრობ იმ წიგნებთან და ლექსებთან, რომლებსაც ავტორები წერენ, ვიდრე თავად შემოქმედებთან და ასეთ შემთხვევაში უდიდესი სამეგობრო გამომდის. თუ გამოვარჩევდი კონკრეტულ ავტორს - ეს ოთარ ჭილაძე იქნებოდა.

- მრავალი ამბავი იწვევს ადამიანში დიდ ემოციას. ბოლოს რისი მოსმენისას ან ყურებისას ვერ შეიკავეთ ცრემლები?

- სხვათა შორის, დღეს ვნახე ირანელ რეჟისორ მოჰამედ რეზა ჰერადმანდანის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დედა“... წარმოუდგენელია, უცრემლოდ უყურო.

- როგორ ფიქრობთ, რა ხდის საქართველოს ასე მიმზიდველად, საინტერესოდ, რა გვაქვს ისეთი, რაც უცხოელებში აღფრთოვანებას იწვევს?

- საქართველოს უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის უნარი, რომ მას ყოველთვის შეუძლია სხვა ეროვნების ადამიანის გაკვირვება. საქართველო არ არის ტბა, რომლის ირგვლივაც ნებისმიერ დროს შეიძლება დასხდნენ, კოცონი დაანთონ და იკითხონ ლექსები. საქართველო არის მდინარე, მოძრავი ობიექტი, მსოფლიოს ერთ-ერთი პაწაწინა, მაგრამ მაცოცხლებელი სისხლძარღვი, რომლის გარეშე დედამიწა არ იქნება ისეთი, როგორიც ახლა არის.

„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გამარჯვებული - ბათუმელი ნანუკა სტამბოლიშვილი

მე-7 გვერდიდან

რატი გაჩეჩილაძე:

- ემოციებში ვარ. ამ სეზონში შესანიშნავი მეწყვილე მყავდა, ნანუკა უმშვენიერესი ადამიანია. ეს სეზონი მთელი ცხოვრება დამამახსოვრდება. ყველაფრით ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ.

მაია სურმანიძე, ბათუმელი:

- ნანუკა სტამბოლიშვილი ისედაც ჩვენი საამაყო გოგონა და ვარსკვლავია. ის თურქული სერიალით „სხვისი შვილი“ გაიცნო ათასობით მაყურებელმა ბევრ ქვეყანაში და მრავალი გულშემატკივარი ჰყავს. ძალიან გამიხარდა, რომ ამ შესანიშნავ პროექტში მონაწილეობას დასთანხმდა და თავისი შესაძლებლობები ამ მხრივაც გამოავლინა. ლათინოამერიკული ცეკვების შესრულება ადვილი არ არის თუნდაც იმ ადამიანისთვის, რომელიც ხელოვნებასთან ახლოსაა (ვიცით, რომ ის ქართული ცეკვების უბადლო შემსრულებელია). ამიტომ მისი გამარჯვებით ასობით გულშემატკივარმა გაიხარა. ფინალს დავესწარი და ძალიან კმაყოფილი ვარ იმ ატმოსფეროთი, რაც იქ სუფევდა. ჩვენი თანაქალაქელის ამ გამარჯვებას ვულოცავ მთელ აჭარას.

ბათუმელ მსახიობს ჯილდოდ თბილისში ბინა გადაეცა. ვულოცავთ ნანუკა სტამბოლიშვილს ამ წარმატებას და ახალ-ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ როგორც პირად, ისე შემოქმედებით ცხოვრებაში.

აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე – ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი

დაბადებიდან – 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი

ჭეშმარიტი მეცნიერი, გამოჩენილი მეტყევე-ეკოლოგი, ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე დაიბადა 1940 წლის 10 თებერვალს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში.



ვანო პაპუნიძემ, როგორც ნიჭიერმა და მიზანსწრაფულმა ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლისას მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, სადაც იგი სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი გახდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აკადემიკოს გიორგი გიგაურის ხელმძღვანელობით, ის აქტიურად ჩაება საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარებაში. მან თავი მოუყარა საქართველოს სატყეო მეურნეობის საფონდო მასალებს, რის დამუშავების საფუძველზეც, ზუსტი ანალიზით შეადგინა ქვეყანაში სატყეო მეურნეობის განვითარების სტრატეგია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერს ერგო პატივი, ემუშავა გამოჩენილ მეცნიერ-მეტყევეებთან, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილთან, პროფესორ ვლადიმერ მათიკაშვილთან, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ევგენი ველიხოვსა და პროფესორ ვალენტინ პროტოპოპოვთან.

1972 წელს ვანო პაპუნიძე წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1990 წელს - სადოქტოროს, 1991 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1989-2006 წლებში პროფესორი ვანო პაპუნიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორია, ამავე დროს ხელმძღვანელობდა მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამეცნიერო განყოფილებას. მისი ხელმძღვანელობით აქტიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარიმართა ადგილობრივი ფლორისა და ბუნების დაცვის, მცენარეთა სელექციისა და გენეტიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, მეყვავილეობისა და დეკორატიული მებაღეობის და მცენარეთა დაცვის მიმართულებებით. მან პირველმა შეიმუშავა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტყის მცენარეულობის რაციონალური გამოყენებისა და დაცვა-აღდგენის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციები.

უდიდესია აკადემიკოს ვანო პაპუნიძის როგორც მეცნიერის და ხელმძღვანელის ღვაწლი, ამაგი და დამსახურება საქართველოში ბიოლოგიური ცოდნის გავრცელების, უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ-მუშაკების და სტუდენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის - ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფლორისტული შემადგენლობის, პარკების, ბაღის ლანდშაფტურ-დეკორატიული ობიექტების სრულყოფასა და განვითარებაში.

აკადემიკოს ვანო პაპუნიძის სამეცნიერო კვლევები ყოველთვის იყო მიმართული რეგიონული პრობლემებისადმი. ის იყო პირველი, ვინც კომპლექსურად შეაფასა ბუნებრივ-ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და ბიომრავალფეროვნებით ყველაზე რთული რეგიონის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტყის ეკოსისტემების თანამედროვე მდგომარეობა. დამუშავებული აქვს ანთროპოგენური ზემოქმედების გავლენით ტყის განახლების პროცესის მიმდინარეობა. მის მიერ გამოვლენილია რეგიონის მცენარეულობის ბიოლოგიური რესურსები საკვების, სამკურნალო და სხვა სასარგებლო გენეტიკური და ინტროდუქცირებული მცენარეული რესურსები, როგორც სარეზერვო ფონდი.

აკადემიკოს ვანო პაპუნიძის მიერ პირველად იქნა გამოყოფილი იშვიათი და გადაშენების პირას მისული მერქნიანი მცენარეები. მანვე დაადგინა ამ პროცესების გამომწვევი მიზეზები, მეცნიერულად შეისწავლა და დაამუშავა წარსულში ადამიანის სამეურნეო მოქმედების შედეგად სუბალპური ტყეების, ასევე, მთის დეგრადირებული კორომების აღდგენის ტექნოლოგიები და სხვა.

აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე არის დიდი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი შემოქმედებით, ქცევით, ნიჭითა და უნარით გაითქვა სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მას კარგად იცნობენ ბულგარეთში, პოლონეთში, უნგრეთში, თურქეთში, რუსეთში, გერმანიაში, აშშ-ში, ირანსა და ბევრ სხვა ქვეყანაში, გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს ვანო პაპუნიძის პედაგოგიური და აღმზრდელობითი მოღვაწეობა. 1974 წლიდან 1992 წლამდე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში; ბათუმის (მწვანე კონცხი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში; ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიურ ინსტიტუტში; ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში; 1992 წლიდან დღემდე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესორის თანამდებობაზეა.

2009 წლიდან აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ სამეცნიერო ცენტრს, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდება, არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, იუნესკოს პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო“ საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „მეტყევეობის პრობლემების“ საბჭოს წევრად, საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოების წევრად და საზოგადოების აჭარის განყოფილების ხელმძღვანელად, არის საქართველოს ბოტანიკური ბაღების და პარკების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი და სხვა კომისიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრი. დაჯილდოებულია: საქართველოს ღირსების ორდენით, საქართველოს საპატრიარქოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს სიგელებით; მიღებული აქვს ათეულობით სერტიფიკატი; შეტანილია წიგნში - „XXI საუკუნის მსოფლიოს 2000 გამოჩენილი ინტელექტუალი“ (საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი, კემბრიჯი, ლონდონი); მინიჭებული აქვს საპატიო ბათუმელის და ქედის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მეტყევეობის დარგში. თვალსაჩინო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერულ ნაშრომთა ციკლისთვის აკადემიკოს ვანო პაპუნიძეს მიენიჭა აკადემიკოს გიორგი გიგაურის სახელობის პრემია; დაბადებიდან 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის აკადემიკოსი ვ. პაპუნიძე დაჯილდოვდა შოთა რუსთაველის სახელობის მედლით, მასვე გადაეცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მის მიერ აღზრდილი სტუდენტი ახალგაზრდების უღრმესი პატივისცემის და მადლიერების გამომხატველი სპეციალური დიპლომი. ეკოლოგიისა და სატყეო მეურნეობის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე დაჯილდოვდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით; აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და პრეზიდიუმის წევრი ვანო პაპუნიძე დაჯილდოვდა მადლობის სიგელით.

აკადემიკოს ვანო პაპუნიძისთვის დამახასიათებელია პიროვნული მაღალი კულტურა, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული, შემოქმედებითი შრომა, ობიექტურობა და მაღალი ზნეობრივი თვისებები, პასუხისმგებლობა, უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილება და პროფესიონალიზმი, არის პრინციპული, საინტერესო მოსაუბრე და კომუნიკაბელური, უაღრესად დახვეწილი და ტაქტიკური ადამიანებთან ურთიერთობაში. იგი შესანიშნავი მეოჯახე, მამა, ბაბუა და მეუღლეა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აკადემიკოს ვანო პაპუნიძეს გულითადად ულოცავს ამ იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და შემდგომ წარმატებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეჯიბრება ორჭიდში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზღვისპირა პარკში, საჭადრაკო კლუბ „ნონას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ვეტერანებისთვის საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ჯანსაღ ორჭიდში.

ახალი სპორტული ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრება შაშსა და ადგილიდან ხტომაში.

ღონისძიება, რომლის ინიციატორი აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაცია გახლდათ, მიზნად ვეტერანების ჯანსაღ ცხოვრებაში ჩაბმას ისახავდა.

ქალებში პირველი ადგილი მედეა ბიბილეიშვილმა დაიკავა, მეორე ადგილზე ნინო აბაშიძე გავიდა, მესამეზე - სვეტლანა უტიანსკაია.

მამაკაცებში პირველ ადგილზე რევაზ კვითაშვილი გავიდა, მეორეზე - ოთარ დოჭვირი, მესამეზე - იასონ კამკია.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი შალვა ტაბაღუა გახლდათ.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადუარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 6/03/25, 18 25 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

საკუთარ თავს თამასას ძალიან მაღლა უწევს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარი - ბათუმელი, მუდამ მომღიმარი და სიცოცხლით სავსე ნიჭიერი მომღერალი ანი კეკუა ლამაზი და წარმატებული ქალის ერთ-ერთი სახეა. ქალთა კვირეულის ამ ლამაზ დღეებში სწორედაც დროულია მისი პიროვნებისა და შემოქმედების წარმოჩენა. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მისი ფესვები ბათუმშია და ახლახან ტელეშოუ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალისტი გახდა, ვფიქრობ, ჩვენი მკითხველისთვის კიდევ უფრო საინტერესო იქნება ამ მშვენიერ ქალთან საუბარი

როგორც ვოკალისტი, ფართო საზოგადოებამ ჯერ „ნუცას სკოლიდან“, შემდეგ კი მუსიკალურ პროექტ „ჯეოსტარიდან“ გაიცნო. „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ სულ ცოტა დააკლდა გამარჯვებამდე, თუმცა მისი შთამბეჭდავი გამოსვლები და შრომისმოყვარეობა მაყურებელმა და ჟიურიმ განსაკუთრებული სიყვარულითა და მხარდაჭერით შეაფასა.

- ბათუმელებმა კარგად ვიცით, რომ ბავშვობიდანვე მღერით. უკვე მაშინ იცოდით, რომ სცენა თქვენი ადგილი იყო? და საერთოდ, როგორი იყო თქვენი ბავშვობა?

- ძალიან ლაღი და საინტერესო ბავშვობა მქონდა, 3 წლიდან სცენაზე ვდგავარ. დავდიოდი ბევრ წრეზე, სტუდიებში, სადაც სოლოსიმღერებს ვასრულებდი, ასევე - ქართულ ცეკვებზეც, სოლისტი ვიყავი. ბალეტზეც ვიარე მაკა მახარაძესთან, მახსოვს, პატარა მიკი მაუსს მეძახდა. ბავშვობაში იტალიურ ეზოში ვცხოვრობდი 3-4 წელი და,

ფაქტობრივად, მთელი სამეზობლო დილიდან ჩემი აუდიტორია იყო. შემდეგ დაიწყო კონკურსები, დიდი სცენა და ფართო მაყურებელი.

- გახსოვთ პირველი სიმღერა, რომელიც შეასრულეთ? რა ემოციები გქონდათ მაშინ?

- პირველად 3-5 წლის ასაკში, სცენაზე „ერთ პატარა ბეღურას“ შევასრულე და ძალიან მიხაროდა. დიდი აპლოდისმენტებიც დავიმახსოვრე.

- იყო თუ არა ადამიანი ან მომენტი, რომელმაც გავლენა მოახდინა თქვენს პროფესიულ არჩევანზე?

- პროფესიულ არჩევანზე თავად ვიღებ გადაწყვეტილებას. სცენაზე დგომა ყოველთვის მინდოდა, ასევე - სხვა პროფესიის დაუფლებაც, რომლითაც ყოველდღიურად დაკავებული ვიქნებოდი. ესაა საერთაშორისო მენეჯმენტი და მარკეტინგი, მეორე პროფესია კი, ცხადია, მომღერლობაა. ოჯახი მუდამ ხელს მიწყობდა. დედ-მამა იყვნენ ადამიანები, რომლებიც მიმართულებას მაძლევდნენ, გადაწყვეტილებებს კი თავად ვიღებდი.

- როგორი იყო პირველი გამოსვლა ფართო აუდიტორიის წინაშე?

- ადრეულ ასაკში, 16-17 წლისას, მომიწია ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. დიდი პასუხისმგებლობაა, თუმცა ბედნიერებაცაა, გამოხატო ის, რაც შინაგანად გაქვს და გაუზიარო ადამიანებს. იმ ასაკში ბევრ რამეს ვერ ვიაზრებდი, ავტომატურად მივყვებოდი დინებას და ასეთ დროს უფრო მარტივად გამოდის ყველაფერი.

- რა სირთულეებს წააწყდით კარიერის დასაწყისში?

- სირთულედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დიდი წარმატებისა და კონკრეტული პლატფორმის შემდეგ უნდა მოახერხო საჭირო ადამიანების გაცნობა და მათთან თანამშრომლობა, რაზეც არ ვყოფილვარ ორიენტირებული. ყოველთვის, როცა კონკრეტულ საქმეს ვიწყებ (სიმღერას ვგულისხმობ), მთლიანად მასზე ვკონცენტრირდები, რათა მაღალ ხარისხში შესრულდეს და არა გარემოზე ან წინასწარ გათვლილ ურთიერთობებზე. ჩემთვის ურთიერთობები ავტომატურად მყარდება და ასეც უნდა ხდებოდეს, ამიტომ სირთულეა, რომ დიდი პლატფორმის შემდეგ შესაძლოა, აღარ იყო ინტენსიურად აქტუალური, რადგან საჭირო გარემოცვაზე არ ხარ ორიენტირებული. სირთულეა, თუ ამ ყველაფერზე მენეჯერის გარეშე უნდა იზრუნო.

- რა იყო თქვენი პირველი წარმატება, რომელმაც თავი შემდგარ არტისტად გაგრძნობინათ?

- პირველი წარმატება მაინც „ნუცას სკოლის“ გამარჯვებული რომ გავხდი, ეს იყო, შემდეგ კი უფრო მასშტაბური პროექტის - „ჯეოსტარის“, თუმცა ჩემთვის მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული პროექტია „გზავნილები გია ყანჩელს“. შემდეგ იყო საავტორო მუსიკის „გრუვერს ბენდის“ საპრეზენტაციო კონცერტი, შემდეგ - პროექტები „მიმღერე“, „ცეკვავენ ვარსკვლავები“...

- ვინ დაგეხმარათ ყველაზე მეტად კარიერის გზაზე?

- ყველაზე მეტად რამდენიმე ადამიანი მახსოვს: მარინა ბერიძე, ვისი ფრაზებიც დღემდე არ მავიწყდება. ბევრი რჩევა მოუცია, რაც კარიერაში დამეხმარა და ჩემი იმიჯი „ჯეოსტარშივე“ შექმნა; ასევე, დაუვიწყარია მანანა მორჩილაძის დახმარება, რომლისგანაც სწორი მღერა და ცოცხალ ბენდთან მუშაობა ვისწავლე; რუსიკო ბახტაძე, რომელიც ჩართული იყო საავტორო ბენდის მუსიკალურ მიმართულებაში; რუსა მორჩილაძე - ვინც შემდგომ პროექტებში აღმომაჩინა და ბოლომდე ჩემი გულშემატკივარია; ქეთი გაბისიანი - სხვადასხვა პროექტში ჩემი გულშემატკივარიც და, სხვათა შორის, ჯერ კიდევ რომ არ ვიყავი ცნობილი, იმ პერიოდში ჩემი პირველი სატესტო სიმღერის ავტორი (რომელიც არ შემისრულებია, მაგრამ პირველად მასთან მქონდა სადუეტო სიმღერის შერჩევის ეტაპი); ბაკურ ბაკურაძე - საპრეზენტაციო და სხვა პროექტების მიმართულებით მხატვრული გამფორმებელი და დიზაინერი, რომელმაც ჩემი საფინალო გამოსვლა „ნუცას სკოლაში“ სწორი შეფუთვით დააგვირგვინა; ზაზა შენგელია - საპრეზენტაციო საავტორო მუსიკის კონცერტზე ძალიან დამეხმარა (სტუდია „ბრავო რექორდსი“); დავით მალაზონია, რომელმაც გია ყანჩელთან ერთად განსაზღვრა პროექტში ჩემი მონაწილეობა წამყვან ვოკალისტად; პაატა ბურჭულაძე - პროექტ „იავნანის“ ფარგლებში ხშირად ვთანამშრომლობდით. არ შემიძლია, არ ვახსენო დიზაინერები აკა ნანიტაშვილი, ლაშა ჯოხაძე და დათუნა სულიკაშვილი.

- თქვენი თანაქალაქელები ძალიან გაგვახარა ფინალში ორი ბათუმელის გასვლამ. რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა ამ პროექტში?

- გმადლობთ. „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ალბათ ყველაზე რთული პროექტია, რადგან ის ფიზიკურ შრომას მოითხოვს და საკმაოდ სტრესულია. ყოველ დილას, გაღვიძებისას და ძილშიც კი იცი, რომ როგორც კი ადგები, უსწრაფესად გაქვს სასწავლი ცეკვა, ილეთები, ქორეოგრაფია და ასე შემდეგ. ასევე, ფსიქოლოგიურ ნაწილში მოითხოვს სიძლიერეს და სიმყარეს, რადგან ცვლილებები პროექტის განმავლობაში გარკვეული მიმართულებებით გარდაუვალია. აუცილებელია მზაობა ნებისმიერი მოვლენისადმი, რაც გარშემო ხდება - შიდა სამზარეულოში. მოითხოვს უზარმაზარ შრომას, განუსაზღვრელი ხარისხის ფსიქოლოგიურ მზაობას და დროს, რომელიც მთელი 3 თვის განმავლობაში უნდა განაწილდეს მხოლოდ და მხოლოდ ცეკვაზე, შეფუთვაზე ... გამოწვევა იყო ისიც, რომ სრულიად უცხო საქმე ავიღე საკუთარ თავზე, რასთან შეხებაც აქამდე საერთოდ არ მქონია. გამოწვევა იყო ისიც, რომ არ ვარ დაკავებული სხვადასხვა პლატფორმაზე საკუთარი თავის პიარით და მასშტაბურ აუდიტორიასთან ყოველდღიური კომუნიკაციით, რაც მსგავსი პროექტებისთვის, შეიძლება ითქვას, ამოსავალი ფაქტორიცაა. გამოწვევა იყო, რომ ჩემი მეწყვილე, პროფესიონალი მოცეკვავე, პირველად იღებდა მონაწილეობას პროექტში. პროფესიონალური კუთხით გამოწვევაზე არაა აქ საუბარი. ოთო პროფესიაში პირველია. იგულისხმება ის, რომ დებიუტანტ მონაწილეს ბევრად მეტის დამტკიცება და მიღწევა უწევს, ვიდრე ცნობილ მონაწილეებს. ასეთ შემთხვევაში საბოლოო შედეგის დადგომაც გამოწვევაა.

- როგორია თქვენი ემოციები „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალის შემდეგ?

- ნორმალური, მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო (იცინის). ერთი კვირა დამჭირდა ნორმალურ, ჩვეულ ცხოვრებაზე გადმოსაწყობად. მენატრება ოთო და ცეკვა.

- დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ თქვენ, ერთგვარად, კონკურენციით გამოწვეულ ემოციებზე მაღლა იდექით. როგორ ახერხებდით ამას (არასოდეს გამოგიხატავთ უკმაყოფილება ჟიურის იმ შეფასებების გამო, რისთვისაც თქვენი მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი იყო გულდაწყვეტილი)?

- მადლობა სწორი შეფასებისთვის. ვხედავდი უამრავი გულშემატკივრის კომენტარებს, დამოკიდებულებას და შეფასებებს, მადლობა მათ ამხელა პოზიტივისა და გემოვნებისთვის. ჩემზე, კონკურსის დროს, არ მოქმედებს არანაირი გადახვეული შეფასება, კონკურენციის პირობებშიც, რადგან ვიაზრებ, რომ უნდა ვკონცენტრირდე საქმეზე და ამაში ხელი ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა არ უნდა შემიშალოს. ესეც გამოცდაა, მე საყვარელ საქმეს ვაკეთებ, იმის უკან რა ხდება, არავის აინტერესებს (მაყურებელს ან მსმენელს) - რამდენი გაქვს სიცხე, რა გტკივა, რა ხასიათზე ხარ, რა მოხდა ერთი დღის წინ, ან თუნდაც კულისებს მიღმა. უნდა იყო მოწოდების სიმაღლეზე და მაღალ ხარისხში შეასრულო შენი გასაკეთებელი. შესაძლოა საკუთარი თავისთვის ძალიან მაღალ თამასას ვაწესებ, რაც გარშემომყოფებზეც და სხვა მონაწილეებზეც მოქმედებს. ალბათ ამიტომ იყო ჩვენი სეზონი ყველაზე პოზიტიური. გამოსვლებზე რეაქციები და შეფასებები, რა თქმა უნდა, მაქვს თუმცა, ჩემი პოზიცია არ არის შემფასებლის პოზიცია, აქედან გამომდინარე, მთავარს - პროდუქტს, მის სირთულეს და ხარისხს ყოველთვის ხედავს მაყურებელი.

- რა გაძლევთ ყველაზე დიდ მოტივაციას კარიერულ გზაზე?

- თავად საქმე, რასაც ვაკეთებ და, ასევე, მნიშვნელოვანია ადამიანი, ვისთან ერთადაც ამ საქმეს ვაკეთებ. ამას დამნახავი - გულშემატკივარი რომ ემატება და პროექტის შიდა სამზარეულოშიც მგულშემატკივრობენ, ესეც დიდი მოტივაციაა ჩემთვის.

- იყო თუ არა ისეთი განსაკუთრებული მომენტი თქვენს კარიერაში, რომლის თავიდან განცდას ისურვებდით?

- „ჯეოსტარში“ გამარჯვების დღე, როცა სცენიდან კულისებში გამოვედი ინტერვიუსთვის და ჩემმა მგალობელმა მეგობარმა ბიჭებმა მოულოდნელად მიმღერეს, ხმებში გაშალეს „ცვივა თოვლის ფანტელი“ და ვიღაცამ დაიყვირა: - გაიხედეთ, როგორ დაბარდნაო... გარეთ უცებ იმხელა ფიფქები წამოვიდა, მართლაც, უმალ დაბარდნა. ეს მომენტი კინოკადრივით მახსოვს და მემახსოვრება ყოველთვის, რადგან ენით აღუწერელი შეგრძნება იყო - თითქოს მთელი სამყარო გაერთიანდა ჩემი ბედნიერებით.

- როგორია გზა, რომელიც ახალბედა მომღერალმა უნდა გაიაროს?

- არ მჯერა მარტივი გზებით მიღწეული წარმატების. დიდი შრომა, ჯაფა, ფსიქოლოგია, მოთმინება, ნიჭი, დაუღალავი ვარჯიში, პოზიტივი და იღბალია საჭირო. ასე დავახასიათებდი ამ გზას. მარტივი, ირიბი, არასწორი და უღირსი ნაბიჯებით სვლას და რამის მიღწევას არ ვურჩევ არცერთ ახალბედას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვისაც მარტივად მოსდის წარმატება, ეს ცუდია. არა, მარტივად მოსული წარმატება იღბალია ნიჭთან ერთად. ვგულისხმობ იმას, რომ არასწორი, შეცოდების გზებით ან ვინმეს ეგიდით მიღწეულს, აუცილებლად სჯობს საკუთარი შესაძლებლობებით, პროფესიონალიზმით, საქმით და, რაც მთავარია, პოზიტივით მიღწეული. ამ საქმეში სიამოვნების მიღებით სხვებსაც მიანიჭებ ბედნიერებას და სწორედ ამის შედეგად დგება წარმატება.

- როგორია ანი კეკუას ერთი ჩვეულებრივი დღე?

- სამსახური, ბევრი სხვადასხვა წვრილი საყოფაცხოვრებო საქმე, შვილი...

- როგორ ინარჩუნებთ ბალანსს პირად ცხოვრებასა და კარიერას შორის?

- სრულიად შესაძლებელია ბალანსი პირად ცხოვრებასა და კარიერაში, როცა სწორი და ლაღი ადამიანი გიდგას გვერდით, რომელსაც ისე უყვარხარ, როგორც შენ გიყვარს და თავს გადადებს ისე, როგორც შენ შეგიძლია თავის გადადება მისთვის, მაშინ ყველაფერი დალაგებულია.

- არის ასეთი ადამიანი თქვენ გვერდით?

- არა.

- როგორ უმკლავდებით სტრესს, განსაკუთრებით - დიდი პროექტების დროს?

- საკუთარი თავით და ფსიქოლოგიით ვუმკლავდები. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემს გვერდით მდგომი ადამიანები, ვისაც ვესაუბრები და განვიხილავ ამა თუ იმ საკითხს. მოტივაციას მაძლევენ და ხანდახან მიწაზეც დამახედებენ ხოლმე. მიმყარებენ თავდაჯერებულობას, რაც ხშირად მჭირდება.

- იღიმებით რთული ცხოვრებისეული მომენტების დროსაც. ეს თქვენი იარაღია?

- დიახ.

- რა ეტაპია ამჟამად თქვენს კარიერულ ცხოვრებაში?

- ვაგრძელებ ჩემი ერთი პროფესიით მუშაობას, ვეუფლები ახალ პროფესიასაც (ქოუჩინგი). ვაგრძელებ სიმღერას, კიდევ უფრო გავაქტიურდები სიმღერების ჩაწერის მიმართულებით (რა თქმა უნდა, თუ უფრო მეტი შემოთავაზება მექნება).

- როგორ აისახა თქვენი პირადი ცხოვრება შემოქმედებითზე ან - პირიქით?

- არა მგონია საგრძნობლად დიდ გავლენას ახდენდეს მაყურებლისთვის ან მსმენელისთვის ეს ნაწილი ჩემს კარიერულ სურათზე, თუმცა შინაგანად, რა თქმა უნდა, მხოლოდ მე ვიცი, რა მომენტში რა გამოხატულებაა ჩემი შინაგანი მდგომარეობის, კონკრეტული კარიერული ეტაპის დროს. რაღაცებიც თითქოს მაშინ ხდება ცხოვრებაში, როცა ყველაზე მეტად გჭირდება.

- რამდენად თვლით თავს ბათუმელად და რას იტყვით ჩვენს ქალაქზე?

- მთელი ჩემი ბავშვობაცა და ახალგაზრდობაც ბათუმში მაქვს გატარებული, მყავს უამრავი მეგობარი და სანათესაოც. ჩემები, ყველანი, ბათუმში არიან დაბადებულნი და გაზრდილნი. მე თბილისში დავიბადე, მაგრამ ბათუმური ურთიერთობებით გავიზარდე.